# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული დაიჯესტი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№15 ◆ 25 ივლისი 1 აგვისტო ◆ ფასი 1 000 მან. შ. კ ◆ A & B დაარსებულია 1995 წ.


## მათ სამშობლოზე ფიქრი არ ასვენებდათ



„რას მიქვიან უშვილობა, განა ქვეყნის სასიკეთოდ გაწვრთნილი ყველა ბავშვი ჩემი შვილი არ არის!"

დავით სარაჯიშვილი

„ვერც ერთი მამა ვერ გასწევდა ისეთ მამობას, როგორსაც დავით სარაჯიშვილი საქართველოს მომავალს უწევდა."

„შეაერთეთ ქართული გულკეთილობა ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს."

ნოე ჟორდანია

ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო დაგეგმილი აჯანყების უსისხლოდ განიარაღება. ე. კვანტალიანის (ჩეკას უფროსი) წინადადებას აჯანყების თავიდან აცილების შესახებ ყველა (ორჯონიკიძის გარდა) მოწონებით შეხვდა... მაგრამ დუმდნენ და სტალინს მისჩერებოდნენ. სტალინი ადგა, გაიარ-გამოიარა. ჩიბუხი დატენა და სარკასტული ღიმილით თქვა: თქვენ თუ ასეთი ბრიყვები იყავით, ვერ წარმოვიდგენდი, როგორ შეიძლება ასეთი დიდებული შემთხვევის ხელიდან გაშვება. საქართველომ უსისხლოდ მიიღო რევოლუცია, ახლა საბაბი გვეძლევა, მას სისხლი გავადინოთ და თქვენ ასეთ სულმდაბლობასა და ლაჩრობას იჩენთ. დაე, გამოვიდნენ. რაც უფრო მასობრივი იქნება გამოსვლები, მით უკეთესი. არავინ დაზოგოთ.

1924 წელი, კისლოვოდსკი



„...არავითარი ბედნიერება არც მწადს და არც მწამს, უკეთუ ჩემი სამშობლოს ხარჯზე იქნება..."

„...დაქსაქსული ერის შვილებს, ალბათ არა გვაქვს პირადულზე ამდენი ფიქრის ნება..."

„ბედნიერ მონობას უბედური თავისუფლება გერჩიოს, მაინც გერჩიოს..."

ლევან გოთუა



„ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან — ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს, ქართველები არა ერივნება, არამედ კონგლომერატია; საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა."

„სანამ საქართველო არსებობს, სოციალიზმი სასიკვდილო საფრთხეშია."

ი. სტალინი

„ახალი თაობა" №45

### საუკუნის სენსაცია

თუ „ევროპის ბებია" — ინგლისის დედოფალი ვიქტორია უკანონო შვილია, მაშინ ინგლისის უძველეს მონარქიულ ტახტს დიდი სკანდალი ელის, დღევანდელმა მონარქებმა იგი უნდა დაუთმონ უახლოეს ნათესავს — გრაფ ერნესტ ჰენოვერს.

გვ. 8



ინგლისის სამეფოს დღევანდელი პრინცები

•

შეინარჩუნებენ ამ ტიტულს?

„საქართველოში ორი წლის მანძილზე არცერთ ჭკვიან ქართველს არ შევხვედრივარ"...

„ქართველი ებრაელები ველურები არიან"...

ისრაელის ელჩი საქართველოში ბარუხ ბირენბაუმი

„სამშობლო ფორტე" №11

გვ. 2



„რუსეთის უმაღლესმა სასამართლომ გასულ კვირას დაიწყო გამოძიება, ჰქონდა თუ არა ელცინს კონსტიტუციური უფლება, დაეწყო ომი სეპარატისტულ რესპუბლიკაში"

გვ. 3

### მსოფლიოს საინტერესო ამბები

- ლივანელი თოფ-მოდელი მის ისრაელთან სურათის გადაღებისთვის დააპატიმრეს.
გვ. 9
- მოსკოვში ამ ბოლო დროს იბადებიან უხელფეხო ბავშვები.
გვ. 10
- გარდაცვლილ როკ-მომღერალს ვერ კრძალავს მეუღლე.
გვ. 11
- აშშ-ის ერთადერთი ცოლგაშვებული პრეზიდენტი.
გვ. 11


ჰორამსდა

უფასო დამატება „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის



ალია
Аргументы и факты
ახალი თაობა
Золотая середина
კავკასიონი
USA TODAY
daily
Комсомольская правда
COSMOPOLITAN
Криминальная хроника
Московские новости
Newsweek
Огонёк
სამშობლო
Собеседник
SUPER
THE TIMES
Финансовые известия
Частная жизнь

*ამ დღეებში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ შუმეიკო, რომელიც პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ საინტერესო ფიგურად ითვლება. როგორც ვარაუდობენ, ეს ხანმოკლე ვიზიტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში გარკვეულ კორექტივებს შეიტანს*

## საქართველოს ტერიტორია მონიშნულია! ანუ შევარდნაძე ბრძენი პოლიტიკოსია და საქართველოს გაუმართლა

ჩვენ თავისუფალი, სწორუფლებიანი და სუვერენული ქვეყნები ვართ და ამ თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობაში უნდა ვეძებოთ გამოსავალი.

რუსეთის პროკურატურამ დუდაევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და იგი იძებნება. რაც შეეხება არძინბას, მის მიმართ რუსეთის იურისდიქცია არ ვრცელდება. ამდენად, ჩვენ არ შეგვიძლია მისი დამნაშავედ გამოცხადება. საზოგადოებას მოუწოდებდი, ეცნო ის დამნაშავედ. თუმცა, მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს. ის ხომ კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს.

ამორალურია, როცა პოლიტიკას სხვისი ჭირის ხარჯზე, მტრობისა და სეპარატიზმის მეშვეობით ქმნი. ყველამ უნდა დაინახოს ამა თუ იმ პოლიტიკოსის რეალური სახე, ამიტომაც საზოგადოებას არძინბას იზოლაციისკენ მოვუწოდებ. როცა ამას ვამბობ, მხედველობაში მყავს ის პოლიტიკოსი, რომლის პოლიტიკაც გენოციდს, ექსტრემიზმსა და სეპარატიზმს შეიცავს. მსოფლიოს საერთაშორისო სამართლით კი ეს დაუშვებელი და მიუღებელია. ამიტომაც მისდამი დამოკიდებულება მისი მოქმედების ადეკვატური უნდა იყოს.

მუშაობის დროს ორმაგი სტანდარტებით არც პრეზიდენტი ელცინი ხელმძღვანელობს და არც რუსეთის ხელისუფლება. გარკვეული ჯგუფები კი (მაგალითად, ზატულინი) ექსტრემისტულად აზროვნებენ. მხოლოდ მათ შეუძლიათ აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხი დააყენონ. პოლიტიკოსისთვის ამის გაფიქრებაც კი შეუძლებელია. საერთაშორისო სამართალი ამას მხარს არ დაუჭერს. ალბათ, მათ უკან, გარკვეული ეკონომიკური ან პოლიტიკური ინტერესები დგას (შესაძლოა ვიწროპარტიულიც). არ შეიძლება ამას რუსეთის ხელისუფლების ორმაგი სტანდარტი უწოდო. რუსეთი, ისევე, როგორც საქართველო, გარდამავალ ეტაპზე იმყოფება.

ჩვენ ვაცნობიერებთ რუსეთის ისტორიულ პასუხისმგებლობას საქართველოს წინაშე და ამ მიმართებით ვმუშაობთ.

მითი იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთთან ყველანაირ კავშირს სწყვეტს და მხოლოდ დასავლეთისკენ იხედება გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის დროს დაიბადა. მაშინ, ბევრის ყოფით ცნობიერებაში, კარგი აფხაზეთისა და ცუდი საქართველოს მცნება ჩამოყალიბდა. კარგ აფხაზეთს უნდა რუსეთი, ცუდ საქართველოს კი არა. პოლიტიკაში ჩაუხედავი ადამიანებისთვის ასეთი მარტივი განმარტება სრულიად საკმარისია. ახლა შევარდნაძის მოსვლამ, საქართველოს თანამეგობრობაში გაწევრიანებამ, ახალ კონსტიტუციაზე მუშაობამ ვითარება შეცვალა. ფართოვდება რა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, მითი ცუდი საქართველოს შესახებ დღითიდღე ქრება, მალე ეს მითი საერთოდ მოკვდება.

რუსეთის სამხედრო ბაზები დოკუმენტების საფუძველზე მხოლოდ ორ რესპუბლიკაში სომხეთსა და საქართველოშია გაფორმებული. საქართველოში ბაზების არსებობის საკითხს დადებითად ვაფასებ. გულახდილად რომ გითხრათ, მჯერა, ომი არასოდეს მოხდება, მაგრამ ძლიერი არმია ნაციონალური უსაფრთხოების გარანტია... სამხედრო ბაზების არსებობა ხელსაყრელია როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ნავთობსადენი საქართველოზე გაივლის.

პრეზიდენტი ქლინთონი კონკრეტულ მიზანს სახავს — აითვისოს საერთაშორისო ბაზარი. ის ამბობს: დიახ, ცივი ომის საშიშროება აღარ არსებობს. მართალია, პოსტკომუნისტურ სივრცეში დემოკრატიაა, რასაც მივესალმებით, მაგრამ ჩვენ იქ უნდა გადავფართოვდეთ და გავზარდოთ [illegible] საქართველოში რუსეთის ბაზების არსებობა მთელ მსოფლიოს ეუბნება, რომ ტერიტორია მონიშნულია, არ არის იქ შესვლა საჭირო... მიუხედავად იმისა, რომ პატივს ვცემ ამერიკის შეერთებულ შტატებს, პატივს ვცემ ბევრ იქაურ პოლიტიკოსს, არ მომწონს მათი მითითებები კასპიის ზღვის ნავთობის თაობაზე, თითოეული პოლიტიკოსი საკუთარ ქვეყანაზე უნდა ფიქრობდეს. ბოდიშს გიხდით, მაგრამ მიმიფურთხებია ამერიკელ მეწარმეთა ინტერესებისთვის, აქ ჩვენი ინტერესებია მთავარი. ამიტომაც ვთვლი, რომ სამხედრო ბაზების არსებობა დადებითი მომენტია.

როცა შევარდნაძე რუსეთში მოღვაწეობდა მას პროდასავლურ ორიენტაციაში სდებდნენ ბრალს, საქართველოში ჩამოვიდა და პრორუსული გახდა. მე კი ასე ვიტყოდი: შევარდნაძე ბრძენი პოლიტიკოსია და საქართველოს გაუმართლა...

დააკვირდით რა ცოტა გამოცდილი პოლიტიკოსია პოსტკომუნისტური ქვეყნების ხელისუფლების სათავეებში... შევარდნაძემ მოახერხა და თავი დააღწია კომუნისტურ წარსულს. ასეთი სულ ხუთი პოლიტიკოსია. რუსეთში — ბორის ელცინი, ალექსანდრე იაკოვლევი, იგორ სტროევი, აზერბაიჯანში — ალიევი და საქართველოში — შევარდნაძე.. ბუდიონოვსკის ტრაგიკულმა მოვლენებმა რუსეთის პრემიერ-მინისტრს ბანდიტებთან მოლაპარაკება აიძულა. ამით ჩერნომირდინმა ასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა, მაგრამ დადებითი მომენტიც გამოიკვეთა — დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკება. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას სტატუსი იწვევს. რუსეთის ფედერაცია თავის საზღვრებში მსოფლიოს მიერ არის აღიარებული. ამდენად, ჩეჩნეთი ვერასოდეს გავა რუსეთის შემადგენლობიდან.

## ყველა თავის ქვეყანაზე ფიქრობს

ისეთი პათეტიკური ფრაზების მიუხედავად როგორიცაა „ჩვენ, კულტურულ ელიტას, არაფერი გვესაქმება პოლიტიკასთან" და „კონფლიქტების გადაწყვეტა მხოლოდ პოლიტიკოსების საქმეა", კულტურათა დიალოგის თითქმის ყოველი გამომსვლელი ცდილობდა თავისი ქვეყნის ინტერესებისამებრ ემოქმედა. ზოგიერთი გამოდიოდა საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრება წყნარი ოკეანის ქვეყნებს, ნაწილი მოითხოვდა დაეგმოთ სერბთა აგრესია ბოსნიაში და ეს აქტი შეეტანათ საბოლოო დასკვნით დოკუმენტში. მეომარ მხარეთა გულშემატკივრებს მხარი აუბა სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელმა, რომელმაც საუკეთესო ფერებში დაგვიხატა მანდელას მმართველობა.

მოთხრობები აფრიკა-ოკეანეთის პრობლემებსა და ღირსშესანიშნაობებზე არაფრით სჯობდა ქართულს... რომლებმაც იგრძნეს რა რასობრივი დისკრიმინაცია, მოითხოვეს ეროვნული უმცირესობების სეპარატისტული მოძრაობების დაგმობა და იზოლაცია. ამ მოთხოვნას მხარი აუბა თვით სერგეი კაპიცამაც, მაგრამ, ჩვენი და შევარდნაძის საწყენად, ამ საკითხის მომხრეები აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდით.

რამდენიმე გამომსვლელმა მოიყვანა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის მაგალითი, სადაც აგრესიულობა და შეუწყნარებლობა უფრო უმრავლესობაში (რუსეთში) შეინიშნებოდა, ვიდრე უმცირესობაში (ჩეჩნეთში). საბოლოოდ კი გამოდიოდა დასკვნა, რომ ყოველგვარ ერთაშორის კონფლიქტში დამნაშავეა ნაციონალური უმრავლესობა, რომელიც ხელს უშლის უმცირესობას და ამით აქეზებს მას კონფრონტაციაზე.

რუსეთის დელეგატების ასეთმა უცერემონიო გამოსვლამ გაალიზიანეს არა მარტო ქართული დელეგაცია, არამედ თვით ედუარდ შევარდნაძეც... საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ არავითარი მინიშნება დაგმობასა და გაკიცხვაზე საბოლოო დოკუმენტში არ შევა.

„ახალი თაობა" № 45



## კულტურა და პოლიტიკა ძალადობის წინააღმდეგ

**ლიანა ისაკაძე:** სასწაულად მომენატრა საქართველო, გარდა ამისა, ტოლერანტობის იდეა და ფორუმში მონაწილეობა, როგორც კულტურის წარმომადგენელს მეც მეხება. მიმაჩნია, რომ საქართველოში ახლა გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა და მოხარული ვარ, რომ ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.

3 სექტემბერს გავმართავ პირველ კონცერტს თბილისში. საქართველოში ბევრი შემოქმედებითი გეგმა მაქვს.

„კავკასიონი" № 131

## პრეზიდენტ ქლინთონის გადაწყვეტილება

იტრა-საკდესის სააგენტოს არხებით მოვიდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა ქვეყნის კონგრესის სენატს სარატიფიკაციოდ გაუგზავნა საქართველოსთან და ლატვიასთან დადებული ხელშეკრულებები ინვესტიციათა წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ. ხელშეკრულებათა ხელმომწერ ქვეყნებს ეს შეთანხმებანი აძლევენ ერთმანეთის ტერიტორიებზე უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გარანტიას.

„ივერია ექსპრესი" № 34



## საქართველოში ისრაელის ელჩმა დაამთავრა თავისი კადენცია?

კნესეტის დეპუტატმა ეფრაიმ გურმა საქვეყნოდ განაცხადა: საქართველოში ისრაელის ელჩის საქმიანობა აბრკოლებსო საქართველო-ისრაელის თანამშრომლობის საქმეს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ საქართველოს ებრაელთა თემის წარმომადგენლებმა წერილი გაუგზავნეს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს. წერილში, რომელსაც რამდენიმე ათეული კაცი აწერს ხელს, ნათქვამია: — „ჩვენ საკუთარი ხალხისა და ისრაელის სახელმწიფოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით ვართ აღზრდილნი. ჩვენ მოვალენი ვართ ანგარიში გავუსწოროთ ისრაელის ინტერესებს და ვიზების გაფორმების წესებს. მაგრამ ეს ხომ არანორმალური ვითარებაა, როცა ჩვენი საბუთები და ფული თვეობით ყრია საელჩოში. არ არსებობს არავითარი კრიტერიუმი, გაუგებარია, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ებრაელი იმისათვის, რომ ვიზა მიიღოს. იძულებული ვართ, წამდაუწუმ ჩავდიოდეთ სხვადასხვა ქალაქიდან საზღვარგარეთის პასპორტის მისაღებად. მატარებლით მგზავრობა კი ძალზე ძვირი გვიჯდება. გაუგებარი მიზეზების გამო ელჩი ვიზებს არ იძლევა, და თუ კეთილი ინება და მოგვცა, მხოლოდ შეურაცხმყოფელი დაკითხვისა და დამამცირებელი ლოდინის შემდეგ.

ოცდაექვსი საუკუნეა საქართველოში ვცხოვრობთ და მეგობრულ ხიდებს ვაგებთ ებრაელებსა და ქართველებს შორის. ბატონი ელჩი კი ნაბიჯ-ნაბიჯ წვავს ამ ხიდებს. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ საქართველოში ორი წლის მუშაობის მანძილზე არცერთ ჭკვიან ქართველს არ შევხვედრივარ ან „ქართველი ებრაელები ველურები არიან" ბატონ ელჩს სიფიცხეში წამოსცდა, მაგრამ შეუწყნარებელია ასეთი „დიპლომატიური" ლექსიკონით სარგებლობა.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმის წინააღმდეგ, რომ ისრაელის ელჩი სათანადო პატივს არ სცემს ქართველ ებრაელთა დიასპორას და მიგვაჩნია, რომ ელჩად მუშაობის უფლება არა აქვს კაცს, რომელიც რესპუბლიკაში ებრაელთა თემის ინტერესებს არ იცავს".

საქართველოს ებრაელთა თემმა ეს-ეს არის მიიღო ისრაელიდან „ცნობა პრესისათვის". ამ ცნობაში ნათქვამია: როგორც კი გამოვიდნენ კნესეტის ტრიბუნიდან და დეპუტატებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ამცნეს საქართველოში ისრაელის საელჩოში გამოვლენილი აღმაშფოთებელი დარღვევები, აგრეთვე ამ ქვეყანაში ისრაელის ელჩის შეუწყნარებელი ქცევა, კნესეტის დეპუტატმა ეფრაიმ გურმა (ლიკუდი) საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი გაუგზავნა დეპუტატ ეფრაიმ გურის აზრით, ელჩის მუშაობის სტილი, აგრეთვე, საელჩოს ბიუროკრატული ხასიათი შეურაცხყოფას აყენებს ქართველ ებრაელობას.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ი. ბეილინის პასუხში, რომელიც დეპუტატმა გურმა მიიღო, ნათქვამია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო ინსპექტორმა შეამოწმა საქართველოში საელჩოს მუშაობა. გადაწყდა შეიცვალოს საელჩოს მუშაობა რამდენადმე პერსონალიც. ელჩი ბირენბაუმი მალე შეწყვეტს მუშაობას..."

იბეჭდება შემოკლებით

მიხეილ ფიჩხაძე, „თთ"-ს სააგენტო (თბილისი-თელ-ავივი)

„სამშობლო ფორტე" № 11

## ნაწყვეტები პარლამენტის სხდომიდან:

— შენ უთხარი და მე იმვასქნი...

— უკვე მერამდენჯერ იყო ხალხები და საკითხები კენჭისყრამდე მისული, მაგრამ...

— ჩემთვის არანაირი მნიშვნელოვანი არის, პრეზიდენტი მიწისქვეშა ბუნკერში იქნება, თუ მეოთხე სართულზე...

— დაჯექ, კაცო, რა ჯანდაბა გაწრიალებს...

## მინისტრთა კაბინეტის სხდომიდან:

— თქვენ რატომ ჩუმხართ?..

— დავანებოთ საქმის მიფარჩუჩებას თავი...

„ბურჯი ეროვნებისა" № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფხაზეთი საქართველოს ტკივილია

28 ივნისიდან მიმდინარეობს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის საპროტესტო აქცია, რომელსაც კოორდინაციას უწევს საკოორდინაციო შტაბი. აქციაში მონაწილეობს აფხაზეთის მინისტრთა საბჭო მთელი შემადგენლობით.

აქციის მონაწილეებს ყოველდღე ემატება დევნილთა ახალ-ახალი ნაკადი. აქციის მიმდინარეობის ცამეტი დღის მანძილზე მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ ერთი: დევნილთა ხუთკაციანი ჯგუფი შეხვდა სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს და გადასცა აქციის მონაწილეთა მოთხოვნები.

აქციის მონაწილე ქალბატონი რაისა ჩიკვატია-ქარია:

-აფხაზეთიდან დევნილთა აქციები ენყობოდა ენგურის მიღმაც, მაგრამ მას არც შედეგი მოჰყოლია და მცირემასშტაბიანიც იყო. აქციის პარლამენტის წინ გადმოტანა განაპირობა აფხაზეთის კონფლიქტის მონესრიგების ერთ ადგილზე გაყინვამ. რუსეთის მხარე, რომელმაც თავის თავზე აიღო სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების მისია, არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. სამშვიდობო ძალები შემოიფარგლნენ სასაზღვრო ჯარების ფუნქციით და იცავენ მხოლოდ აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას. არა და არ ინყება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დაშლისა და განიარაღების პროცესი. აფხაზ სეპარატისტთა ბანდები დათარეშობენ ე.ნ. უშიშროების ზონაში და მთელი სიმკაცრით აგრძელებენ ქართული მოსახლეობის გენოციდს.

აფხაზეთის პოლიტიკის განელვას, დროის მოგების პოლიტიკას თავისი სარჩული აქვს. ამის საფუძველს მაძლევს დახურულ კარს მიღმა პასტუხოვის, ეგოროვის, გრაჩოვისა და არძინბას ამასნინდელი შეხვედრა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რუსეთი თანხმდება კონფედერაციის სანყისებზე მონყობას.

თუ რუსეთი აღიარებს ერთიან საქართველოს თავისი ტერიტორიის ფარგლებში, მაშინ ხელიც უნდა შეგვინყოს ამაში, ან მოგვცენ უფლება ჩვენი ბედი ჩვენვე გადავნყვიტოთ,

გალში მიმდინარე პროცესები ბევრ რამეზე გვაძლევს პასუხს, არძინბამ იქ, არაოფიციალურად შესულთა აღნერა მოახდინა, შემსვლელთა ანკეტირებას ითხოვს, რაც იმის მომასნავებელია, რომ იგი რეფერენდუმისთვის ემზადება, რა მოჰყვება ამას, ცხადზე ცხადია. მისი გავლენის ქვეშ მყოფ ტერორიზებულ ხალხს თავისი ბნელი საქმეებისთვის გამოიყენებს, შემდეგ კი გამოაცხადებს - აი, ხალხი თანახმააო.

გალში შესვლაზე კატეგორიული ნინაალმდეგობა გავუნიეთ. ტერიტორიას ვკარგავთ და ხალხიც უნდა დავკარგოთ? სანამ გალში საქართველოს იურისდიქცია არ აღდგება, იქ არავინ არ უნდა შევიდეს.

თუ გალი აფხაზეთს ჩამოაშორეს, ჩვენი საქმე დაღუპულია.

- საპროტესტო აქცია როდის შენყდება?

- საპროტესტო აქციამ აფხაზეთის ქართველობა ერთამნეთს დაგვაკავშირა. - ჩვენი გააქტიურებით, ხმის ამაღლებით მსოფლიოს ყურადღება უნდა მივიქციოთ. ყველამ უნდა გაიგოს აფხაზეთის ქართველობის ტრაგედია. აქცია ნელ-ნელა აღზევდება. უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. თუ მოთხოვნების შესასრულებლად პირველი ნაბიჯები არ გადაიდგა, აქცია მკაცრდება, რადიკალურ ზომებზე გადავა. ასე რომ, დრო შემოფარგლული არა გვაქვს.

ამ ხნის მანძილზე სესიის ჩატარებას მხოლოდ ერთი მიზეზით მოვერიდეთ, რადიკალური გადანყვეტილების მიღებით, (სხვას ჩვენ ვერ მივიღებთ), საქართველოს პარლამენტს ჩვენთვის არ გადაებრალებინა.

ომის დანყებამდე და შემდეგაც ვესნრებოდი პარლამენტის იმ სესიებს, რომლებზეც აფხაზეთის საკითხი ირჩეოდა. ვერც ერთხელ ვერ მიიღეს საჭირო გადანყვეტილება ქვორუმის უქონლობის გამო. გადანყვეტილების მიღებამდე უმრავლესობა ტოვებდა დარბაზს, და საკითხიც ღიად რჩებოდა. აქციის მონანილეებმა უნდა მივაღნიოთ იმას, რომ მონვეული იქნას საქართველოს პარლამენტის საგანგებო სესია და მიღებული იქნას რეალური გადანყვეტილება.

- ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ აქციას ვინმე გამოიყენებს თავის სასარგებლოდ?

საკოორდინაციო შტაბმა ამის ასაცილებლად ყოველგვარი ზომები მიიღო.

აფხაზეთის პრობლემა მარტო ჩვენი კი არა, მთელი საქართველოს პრობლემაა. რადიკალურად განნყობილმა ოპოზიციონერებმა მხარი უნდა დაგვიჭირონ.

გვიხარია და იმედით გვავსებს ზოგიერთი თბილისელის თანაგრძნობა ჩვენი აქციისადმი. ჩვენს გვერდით დგანან, ჩვენს ბედს იზიარებენ. აფხაზეთი მარტო აფხაზეთის ქართველების ტკივილი კი არა, მთელი საქართველოს ტკივილია. აფხაზეთი მთელმა საქართველომ უნდა დაიბრუნოს.

„ივერია ექსპრესი" № 34

## რისთვის ჩამოვიდა ედუარდ ბრუნერი

16 ივლისს სოჭიდან თბილისში ჩამოვიდა გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, ედუარდ ბრუნერი.

17 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს შეხვდა. შეხვედრაზე ვიცე-პრემიერმა თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია ედუარდ ბრუნერის თბილისში ვიზიტის სტრუქტურა, რომელიც აფხაზეთში დაინყო და არძინბასთან და პასტუხოვთან შეხვედრას მოიცავდა. მისივე თქმით, სამშვიდობო ძალებმა აშკარად პრო-აფხაზური პოზიცია დაიკავეს და თავიანთ მოქმედებებს არძინბასთან ათანხმებდნენ. „ჩვენ ვკარგავთ გაეროს, ევროორგანიზაციისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების რნმენას. გარნმუნებთ, თუკი ოც დღეში არ დაინყება ლტოლვილთა მასიური დაბრუნება აფხაზეთში, მოხდება დიდი სისხლისღვრა", მისივე თქმით, აფხაზეთში შექმნილია საკონცენტრაციო ბანაკები, ქართველებს მონებივით იძულებით ამუშავებენ მაღაროებში. იქ შექმნილ ვითარებას აკონტროლებენ სირიელი, იორდანიელი, თურქი და ჩრდილოკავკასიელი დაქირავებული მკვლელები. თურქეთიდან შემოდის იარაღი და პროვიზია, ამჟამად გალის რაიონში 500 ბოევიკია, ყოველ სოფელში 30-40 სნაიპერია. „ჩვენ მოვითხოვთ, რომ სამშვიდობო ძალები მდინარე ფსოუზე გადავიდნენ და აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციაში მოექცეს".

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლორიკ მარშანიამ განაცხადა, რომ აფხაზეთი დამნაშავეთა ბუდედ იქცა, მთავარი დამნაშავეა არძინბა და მას შევარდნაძე არ შეხვდება. მისივე თქმით, თუკი მოვლენები ასე გაგრძელდა, აფხაზი ერი საერთოდ გაქრება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოც-უზრუნველყოფის მინისტრმა ნულეისკირმა განაცხადა, რომ პასტუხოვის ნდობა არ შეიძლება, ის ხან ერთს ამბობს და ხან მეორეს, მან გაიხსენა 1993 წელი, როდესაც მასთან საუბარში პასტუხოვს განუცხადებია, თუ არ გაიყვანთ ჯარებს სოხუმიდან, ქალაქი ფერფლად იქცევაო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ ედუარდ ბრუნერს მოსთხოვა პირდაპირ განეცხადებინა, რისთვის ჩამოვიდა თბილისში. ედუარდ ბრუნერმა თავის წილ გამოსვლაში აღნიშნა, რომ გაეროს რაც შეუძლია, ყველაფერს აკეთებს კონფლიქტის მოსაგვარებლად.

ედუარდ ბრუნერი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. ალექსანდრე ჩიკვაიძემ უკმაყოფილება გამოთქვა აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად გაეროს მუშაობით. მისი თქმით, სეპარატისტები დაუსჯელად არღვევენ გაეროს ყველა რეზოლუციას. ედუარდ ბრუნერმა აღნიშნა, რომ გაეროს გეგმით აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად აუცილებელია შესრულდეს სამი მოთხოვნა: 1. შენარჩუნებულ იქნას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; 2. მოხდეს ლტოლვილთა დაბრუნება; 3. აფხაზეთს მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი.

ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებათა პროცესში საქართველო მრავალ დათმობაზე წავიდა. ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობა გაეროს მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს მხარე შეშფოთებულია აფხაზეთისთვის ახალი ე.ნ. განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების მოთხოვნით (რაც, ფაქტიურად, კონფედერაციას ნიშნავს), რომელიც არცერთ ადრე მიღებულ რეზოლუციაში არ იყო ნახსენები, გაუგებარია აქ ტერმინის წარმოშობა, „დაჟინებით მოვითხოვ, რომ აფხაზეთის კონფლიქტი გაეროს რეზოლუციების შესაბამისად მოგვარდეს და ლტოლვილები დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ აფხაზეთში" - განაცხადა ალექსანდრე ჩიკვაიძემ.

„რეზონანსი" № 73

## შეთანხმებებს შედეგი არ მოაქვს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილობაში მყოფი უმაღლესი საბჭოს 19 ივლისის სესიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აფხაზეთის შეთანხმებებმა არავითარი შედეგი არ გამოიღო. ითქვა, რომ ამჟამინდელი აფხაზური ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს საერთაშორისო საზოგადოებრიობის აზრს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თაობაზე.

„რეზონანსი" № 75

### „სნგ"-ს ქვეყნებში

## შემაშფოთებელი გულისცემა

### ჩერნომირდინი ელცინს დაჩრდილავს

სამშაბათს ელცინს გულმა შეუტია და უმალ საავადმყოფოში მოათავსეს. მაგრამ ოთხშაბათს უკვე ფეხზე წამოდგა და საქმიანობას შეუდგა. ამ ოფიციალურ ცნობას ძალზე ეჭვიანად უყურებენ მტერ-მოყვარენი. ამ არეულ-დარეული ქვეყნის ვერც — ერთმა ჟურნალისტმა ვერ მოახერხა პრეზიდენტის ნახვა, არც საავადმყოფოს ბაღში მოსეირნისთვის მოუკრავს ვინმეს თვალი.

ეჭვი უკვე ლობე-ლობე დაძვრება - რას ჩურჩულებს მსოფლიო პრესა, რა ხდება კრემლში?

რუსეთის პრეზიდენტს ბოლო დროს მრავალი ფათერაკი გადახდა თავს - გადაურჩა საავტომობილო კატასტროფას, მისი მანქანა ხიდიდან მდინარეში კინაღამ გადავარდა, მისი თვითმფრინავი ძლივს დაფრინდა აეროდრომზე, გადაიტანა უმძიმესი დეპრესია, ხელი მიჰყო გაუთავებელ ქეიფს, ამიტომ მისი ავადმყოფობა არავის უნდა გაჰკვირვებოდა, მით უფრო, რომ ელცინს ადრეც სჩვეოდა 2-3 დღით გაქრობა, თუმცა, ამ ამბავს ამხელა მითქმა-მოთქმა არასოდეს მოჰყოლია.

პრეზიდენტი გამომჯობინდაო, - იტყობინება ოფიციოზი, - მაგრამ ელცინმა პარასკევისთვის დაგეგმილი შეხვედრები და მგზავრობა 24 ივლისისთვის გადასდო.

კვლავ საბედისწერო კითხვა ჰკიდია რუსეთის დამუხტულ ჰაერში, რა ხდება? სახელმწიფო გადატრიალების სუნი ხომ არ სცემს საზოგადოებას? მით უფრო, რომ სახელმწიფო გადატრიალება ქუჩებში ტანკების გრიალს როდი მოაქვს. ხრუშჩოვის გადაყენებისას ერთი ტყვია არ გავარდნილა, არც გორბაჩოვის ტანკით გადაყენების მცდელობას მოჰყოლია შედეგი.

რისი გაკეთებაც ჩუმად, წყნარად შეიძლება, ჩუმად, უფორიაქოდ უნდა გაკეთდეს.

ღელავენ ელცინის მომხრენი, მაგრამ ხალხი მშვიდად უყურებს ამ განამანიას, რაც ცხადჰყოფს პოლიტიკის მიმართ ქვეყნის ინდიფერენტულობას და ელცინის რეიტინგის დაცემას. სამაგიეროდ, დღითიდღე იზრდება პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინის ავტორიტეტი. ქვეყნის საქმეებს უმთავრესად ის განაგებს. მისი სახელი განსაკუთრებით გახმიანდა ჩეჩენ მეამბოხეებთან რუსი მძევლების გათავისუფლების თაობაზე პირდაპირი ეთერით თათბირის შემდეგ.



2 წლის წინ ჩერნომირდინს უფერულ ბიუროკრატად მიიჩნევდნენ, დღეს კი საერთაშორისო ფინანსური ავტორიტეტები საბაზრო რეფორმების გატარებისთვის ქებადიდებას არ აკლებენ. ჩერნომირდინი არეგულირებს რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობას - ვიცე-პრეზიდენტი ალ გორი ხვევნით ესალმება მას. ჩერნომირდინი ამბიციურიცაა - მისი პარტია „ნაშ დომ როსსია" დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ემზადება.

რუსეთის პრეზიდენტობა რა თქმა უნდა, უდიდესი ჯილდოა. ელცინის ავადმყოფობამ საეჭვო გახადა მისი პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევა.

სამოცდაოთხი წლის სახეშეშუპებული, რუსეთის ბაჯბაჯა თავკაცი აღარ ჰგავს იმ ენერგიულ, ძლიერ ლიდერს, რომელმაც ოთხი წლის წინ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა შეაფერხა. მისი პოპულარობის რეიტინგი დაეცა, მას აკრიტიკებენ ჩეჩნეთის ომის გამო, რუსეთის უმაღლესმა სასამართლომ გასულ კვირას, დაიწყო გამოძიება, ჰქონდა თუ არა ელცინს კონსტიტუციური უფლება დაეწყო ომი სეპარატისტულ რესპუბლიკაში. ელცინისთვის ერთადერთი სასიამოვნო სიახლეა ის, რომ წინა კვირას პარლამენტმა უარყო მისი კანდიდატურის გადადგომის შესახებ საკითხის განხილვა. პირწავარდნილი ნაციონალისტის ჟირინოვსკის თქმით, ავადმყოფი კაცის გადაყენება უსამართლობა იქნებაო.

იქნება ჩერნომირდინი კარგი პრეზიდენტი? რუსი ანალიტიკოსები მას მოძველებული ფორმაციის წარმომადგენლად მიიჩნევენ, თუმცა ადაპტაციის უნარიც აქვსო, ამბობენ. იგი მოხერხებული ხელმძღვანელია. უპირატესობას ანიჭებს „პროგრესს შოკისა და რევოლუციის გარეშე"; ჩერნომირდინმა ისწავლა ძველი ინდუსტრიული წყობის უარყოფა. თუმცა, მისი საარჩევნო ბლოკი ჯერაც ყოფილ კომუნისტთა ხროვას წააგავს.

ყოფილი გაზის მინისტრი, რომელმაც „გაზპრომის" პრივატიზება მოახდინა გორბაჩოვის დროს, დღესაც რუსი საზოგადოების აზრით, ეხმარება „გაზპრომელ" მეგობრებს, ათავისუფლებს დიდი გადასახადისაგან. მთავრობასა და დიდ ბიზნესს შორის ამგვარი ურთიერთობა დამახასიათებელია ახალი რუსეთისათვის. თუ ჩერნომირდინი გახდება პრეზიდენტი, ეს უმაღლესი ძალაუფლება იქნება.

„ნიუზუიქი" 24 ივლისი.

## კიევის პატრიარქის ცხედართან მუშტი-კრივი გაიმართა

კიევისა და სრულიად უკრაინის უწმიდესი პარტიარქი ვლადიმირი მოულოდნელად გარდაიცვალა.

მინისტრთა კაბინეტის სპეციალური გადაწყვეტილებით უწმიდესის დასაკრძალად შეირჩა სამი ადგილი, სინოდმა კი განაცხადა, რომ პარტიარქის ცხედარს მხოლოდ კიევის სოფიის მიწა მიიბარებდა.

გავიდა დრო, სინოდი თავისას არ იშლიდა, რეზიდენციაში მთავრობის წარმომადგენლების ვიზიტი უშედეგოდ მთავრდებოდა. მილიციამ და ომონმა მიიღეს მითითება, მზად ყოფილიყვნენ პროვოკაციისათვის.

პანაშვიდი პატრიარქს ვლადიმირის ტაძარში გადაუხადეს. 2 საათზე აგუგუნდა ზარები...

... ისინი ერთმანეთს კიევის ცენტრში შეხვდნენ - აღჭურვილ-ჩამწკრივებული „ბერკუტი" და უკრაინელი ნაციონალისტები, რომლებიც სამგლოვიარო პროცესიას მიაცილებდნენ.

თვალის დახამხამებაში აირია მონასტერი. ომონი და უნსო-ელები ერთმანეთს დაერივნენ, ატყდა ყვირილი, კვნესა, ღმუილი, ლანძღვა, ძვლების ლაწალუწი, ჩაფხუტიანი „მაგარი ბიჭების" ტრიალი. ხელკეტები ბოევიკებს კი არა, შაოსან ქალებსაც არ ინდობდა, კუბო ბარბაცებდა... ცემა-ტყეპა ათ წუთს გრძელდებოდა.

დეპუტატებმა ძლივს დაითანხმეს შინაგან საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლები, მიეშვათ სოფიის ტაძრამდე, წმინდა ადგილთან გამოსათხოვებლად.

17 საათზე მოიწვიეს მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომა და გადაწყვიტეს - პატრიარქი შესასვლელიდან რამდენიმე მეტრზე მიებარებინათ მიწისთვის, ომონი მძვინვარებდა, ქრისტიანული წესით მიცვალებული მზის ჩასვლამდე უნდა დაკრძალულიყო. დაიწყო მიწის ძალაყინებით, წერაქვებით, შიშველი ხელებით თხრა, სოფიის ტაძრის კარები ლიწინლიწინით გაიღო, გავეშებული ომონელები გაათკეცებით, დაუნდობლად დაერივნენ მგლოვიარეთ. ჭირისუფლებმა ძლივს მოახერხეს მიცვალებულისთვის რამდენიმე მუჭა მიწის მიყრა...

იმ დღეს სამოქალაქო ხელისუფალთაგან არავინ გაჰკარებია სოფიის ტაძარს.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 131

ბიბლიოთეკა

## „დედაქალაქში სახეზეა ეკონომიკის აღმავლობის საერთო ფონი

20 ივლისს მოეწყო თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1995 წლის I ნახევრის შედეგების განხილვა; მუნიციპალიტეტის პრემიერის პირველი მოადგილის კახი არველაძის აზრით, გამოიკვეთა სასიკეთო ტენდენციები: „დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქში სახეზეა ეკონომიკის ალმავლობის საერთო ფონი, ამაღლდა მოსახლეობის შემოსავლები და მსყიდველუნარიანობა, ჩამოყალიბდა მეწარმეთა საშუალო ფენა, პირველად ბოლო წლების განმავლობაში დედაქალაქში ხელფასის ზრდის ტემპმა გაუსწრო სასურსათო საქონელზე ფასების ზრდას, საქონელბრუნვის მოცულობა გაიზარდა, ქალაქში ფუნქციონირებს 4 ათასამდე ჯიხური, საიდანაც რეალური შემოსავალი აქვს 20 000 ოჯახს".

დედაქალაქის ალმშენებლობის ტემპებზე ისაუბრა ვიცე-პრემიერმა ვალერიან კვარაცხელიამ.

„ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები № 1 საშუალო სკოლაზე და 1 სექტემბრისათვის გაშვებული იქნება ექსპლოატაციაში წინა კორპუსი, სადაც სწავლას დაიწყებს 1400 მოსწავლე. სასტუმრო „თბილისს" აღადგენს ამერიკული ფირმა „პარკ-პლაზა", ხოლო სასტუმრო „ორიენტს" - ინგლისური ფირმა „ბრენტ უოკერი".

ქონების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავით ბაშალეიშვილის გამოსვლა თბილისში მიმდინარე პრივატიზების პროცესს მიეძღვნა.

„ტერიტორიული პროგრამის თანახმად, თბილისში ეკონომიკური რეფორმის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიჩნეული იყო საკუთრებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, სახელმწიფო-მუნიციპალურ საწარმოთა პრივატიზაცია და უძრავი ქონების მართვის სრულყოფა. პრივატიზების პროცესი რეალურად დაჩქარდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ, რითაც ვაჭრობის, საზკვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და 30 მილიონამდე საბალანსო ღირებულების მქონე საწარმოთა მუშებს მიეცათ ობიექტის პირდაპირი მიყიდვის უფლება. ბაშალეიშვილის თქმით, 6 თვეში პრივატიზება ჩაუტარდა 360 ობიექტს, გაიყიდა 131 ავტომანქანა, დაფუძნებულია 192 სააქციო საზოგადოება, პრივატიზებულია 1243 ვაჭრობის, საზკვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი.

- „ეკონომიკა პოლიციის გარეშე ვერ აღორძინდება", განაცხადა სხდომაზე მობილიზებული დაცვით მოსულმა ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელმა დემურ მიქაძემ. სახელმწიფო ქონების დატაცებას არავის აპატიებს. „საერთო მუშაობით შექმნილია სასიგნალო ბარათი, რომლის გარეშეც არავის მიეცემა საწარმოების შემოწმების უფლება". გამოსვლის ბოლოს კი იგი კაცურად დაპირდა დამსწრეებს, რომ პოლიციის შემადგენლობას და სტრუქტურასაც გარდაქმნის, რადგან „ასეთი ჭუჭყიანი სახელის მქონე პოლიცია არავის სჭირდება".

ქალაქის მერი „ილუზიებს არ უქმნის მოსახლეობას" და ამბობს, რომ რთული ზამთარი მოგველის, „საჭირო იქნება დეპარტამენტებმა იზრუნონ გამათბობები საშუალებების და საწვავის შემოტანაზე" განაცხადა მან.

„რეზონანსი" № 75

## მითი „კეთილ ამერიკაზე" დაიმსხვრა

როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო ურთიერთობები? მოსახლეობისა თუ პოლიტიკოსთა აზრი ძირითადად 3 ნაწილად იყოფა.

1. რუსეთთან ურღვევი „ძმური" კავშირი. სხვა ქვეყნებთან ცივი დამოკიდებულება; 2. ორიენტაციის აღება ევროპასა და აშშ-ზე. რუსეთის იგნორირება; 3. ზომიერი დამოკიდებულება მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, კავკასიის ერთიანობაზე ძირითადი აქცენტის გადატანა.

პირველის შედეგებს უკვე ვიმკით...

მეორის მომხრეები ამას შესანიშნავად იყენებენ, სასწრაფოდ მოითხოვენ რუსეთთან ურთიერთობების გადასინჯვას და აშშ-სთან „ჩახუტებას".

სულ მალე, საქართველო-სომხეთის საზღვარზე ან მის მახლობლად უნდა აშენებულიყო ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც წელიწადში 3-5 მლნ ნედლ ნავთობს დაამუშავებდა. ამ ადგილას (გარდაბანში) უკვე არსებობს 40 მლნ კილოვატიანი თბოსადგური, რაც ელექტროენერგიას მნიშვნელოვნად გააიაფებდა ორივე რესპუბლიკისათვის.

როგორც ცნობილია, ჩვენმა „კეთილმსურველმა" მეზობელმა ატომური ელექტროსადგურის ამუშავება არჩია, რითაც საფრთხე შეუქმნა მთელს რეგიონს (აბა, საქართველოს ხომ არ ასარგებლებდა). აი, მივადექით მთავარ საკითხს;

აშშ, როგორც ყველას კარგად მოგეხსენებათ, სომხეთის აეს-ის ამუშავების წინაალმდეგი იყო. ჩვენც გვჯეროდა. აი, რა კარგია, ამერიკა საქართველოზე ფიქრობსო.

ვაი, რომ ვცდებოდით!

„ბიზნეს-კურიერის" ამ ნომრის გამოსვლამდე ერთეულებმა თუ იცოდნენ, რომ ცოტა ხნის წინ სწორედ აშშ-ს დაჟინებული (მო)თხოვნით საქართველომ თავის ტერიტორიაზე გაატარა ტრანზიტით თურქეთიდან მომავალი სომხეთის აეს-ისთვის განკუთვნილი 9 ტონა ჰიდრატი, რომელიც მიეკუთვნება ფეთქებად და განსაკუთრებულად საშიშ ტვირთების კატეგორიას. კომპეტენტური პირების აზრით, მისი აფეთქების შემთხვევაში თბილისი წარსულში გახდებოდა მოსახსენიებელი.

ჩვენ ამჯერად არ შევუდგებით იმის გამოძიებას, თუ რატომ არ ალუდგნენ შესაბამისი ორგანოები წინ ამ ტვირთის ჩვენს ტერიტორიაზე გატარებას.

ფაქტი ერთია, რუსეთიც, აშშ-ც, გერმანიაც და თუ გნებავთ, აფრიკის პატარა ბურნიკა-ფასოც, საქართველოში ყოველთვის თავისი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს.

დასკვნაც ერთია: მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ სხვების დაუხმარებლად საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებას.

„ბიზნეს-კურიერი" № 19

## „საქართველო, როგორც ყოველთვის, საშინლად არაორგანიზებულია

მას შემდეგ, როცა აქტუალური გახდა აზერბაიჯანის ნავთობის დასავლეთში ექსპორტირების საკითხი, კიდევ უფრო გაცხოველდა დასავლეთის ინტერესი საქართველოს მიმართ, ე.ი. იმ ქვეყნისადმი, რომლის ტერიტორიაზეც, შეიძლება, გაიაროს ნავთობსადენმა. ამ და კიდევ ზოგიერთ სხვა საკითხს ეხება ბრიტანულ ყოველკვირეულ გაზეთ „ეკონომისტში" დაბეჭდილი სტატია.

„1991 წელს, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მან სახელი გაითქვა, როგორც საკუთარი თავის ზიანის მიმყენებელმა ქვეყანამ, მაგრამ თითქმის 4 წლის სამოქალაქო ომის, სეპარატისტებთან ბრძოლისა და ეკონომიკურ საშინელებათა შემდეგ, საქართველოს მთავრობა ახლა ფანატიკურად ცდილობს, დაანახოს მოსახლეობას, რომ ამ, ასე ვთქვათ, სტაბილურ არეულობას ბოლო მოეღოს", უეცრად ალმოჩნდა, რომ საქართველო სერიოზული კანდიდატია მის ტერიტორიაზე ნავთობსადენის გაყვანის პროექტისა აზერბაიჯანის და შუა აზიის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობის დასავლეთში გადაზიდვისათვის. ამან კი საქართველოს, შეიძლება, მოუტანოს დიდი და მტკიცე მოგება ტარიფებისა და ინვესტიციებისაგან. ნავთობსადენის გაყვანამ, შეიძლება, ჩვენ გარდაგვქმნას გაჭირვებული და ჩამორჩენილი ქვეყნიდან, რომელიც არავის არ აინტერესებს, სერიოზულ სახელმწიფოდ", - თქვა ედუარდ შევარდნაძესთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა პირმა. ამასთან, საქართველომ უნდა აჯობოს რუსეთს, რომელიც ცდილობს ნავთობსადენის გაყვანას თავის ტერიტორიაზე, მაგრამ იმისათვის, რომ გაუწიოს რუსეთს კონკურენცია, საქართველომ უნდა დაარწმუნოს პოტენციური ინვესტორები, რომ არეულობის მშფოთვარე დღეები უკვე წარსულს ჩაბარდა.

საქართველოს ჩრდილოეთ ჰორიზონტს უფარავს უზარმაზარი და ძნელადსაწინასწარმეტყველო ფაქტორი - რუსეთი. გაზეთი შეახსენებს მკითხველს, თუ რა როლი ითამაშა რუსეთმა საქართველოსგან აფხაზეთის მოწყვეტის საქმეში. „და მაინც, აქ ყველაფერი, და განსაკუთრებით ნავთობსადენის გაყვანა, რუსეთზეა დამოკიდებული", - უთხრა გაზეთის კორესპონდენტს ქართველმა დეპუტატმა და შეთავსებით სამხედრო ექსპერტმა. პასუხი კი ამ საკითხზე გაიცემა რამდენიმე კვირის განმავლობაში, როცა დასავლეთის ნავთობის კონსორციუმი გადაწყვეტს, თუ სად გაივლის ნავთობის ექსპორტისათვის განკუთვნილი მილსადენი. რუსეთს სურს, რომ ტრასამ გაიაროს ჩრდილოეთით, საქართველოს გვერდის ავლით.



დასავლეთი, რომელიც ცდილობს ააცილოს რუსეთის სამხრეთ მეზობლებს მისი დაწოლა, მხარს უჭერს საქართველოს ვარიანტს, მაგრამ საქართველო, როგორც ყოველთვის, საშინლად არაორგანიზებულია. ნავთობის მრეწველობის დასავლეთელი ოფიციალური პირები ჩივიან, რომ საქართველო აქამდე არ წარადგინა სოლიდური კომერციული წინადადება მის ტერიტორიაზე ნავთობის მილსადენის გატარების შესახებ.

იბეჭდება შემოკლებით
„ბიზნეს-კურიერი" № 19

## ორმაგი თამაში კასპიის ნავთობის ირგვლივ
## „დარწმუნებული ვარ, ჭორია"

მოსკოვში ბაქოდან დაბრუნდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც პრაქტიკულად კასპიის საერთაშორისო კონსორციუმის ჩარჩოებში დაამთავრა რუსეთის ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირების ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძვლების დამუშავება. იმავე დღეებში გაკეთდა თურქეთისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელთა სენსაციური განცხადება იმის თაობაზე, რომ ნავთობის ტრანსპორტირების არავითარი სხვა ვარიანტი, გარდა თურქეთის ტერიტორიაზე გავლისა, არ შეიძლება იყოსო.

რუსეთის თბოენერგეტიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. კოსტიუნინმა განაცხადა, რომ სამინისტროში არ არის არცერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ადრე მიღებულ შეთანხმების გადასინჯვას, სადაც თურქეთის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. მუშაობა ყოველგვარი პანიკის გარეშე მიმდინარეობს. რუსეთის ვარიანტს აქვს სირთულეები, რადგან მოსალოდნელი ბაქო-გროზნო „უკუ" მიმართულებით იყო დაპროექტებული. მაგრამ სსრკ-ში ნავთობის რევერსის ამოცანა წარმატებით ხორციელდებოდა.

ალტერნატიული ქართული ვარიანტი გაცილებით სათუოა. მილსადენი ბაქო-სამგორი-ბათუმი მძიმე მდგომარეობაშია, ექსპლოატაცია შეუძლებელია, მისი გამტარუნარიანობა კარგ დროსაც არ შეესაბამებოდა საპროექტო მონაცემებს. ნავთობის ასეთი რაოდენობის ბათუმში გადაგზავნა შეუძლებელია.

ადრეული ნავთობის ექსპორტის ეკონომიკური ეფექტურობა პრინციპული საკითხია, მასზეა დამოკიდებული კონსორციუმის კრედიტირება. მაგრამ დღეს საქართველოდან თურქეთში გამავალი მილსადენი არ არსებობს. ბაქო-თბილისი-ჯეიხანი (თურქეთის ნავსადგური) მინიმუმ 1 მილიარდი დოლარი დაჯდება.

ეტყობა, ეს მოსაზრებები აძლევენ „ტრანსნეფტის" პრეზიდენტს ვ. ჩერნიცევს იმის საშუალებას, რომ ბაქოს განცხადებებს ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდეს და განაცხადოს: დარწმუნებული ვარ, ჭორია! თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი არ გამორიცხავს იმასაც, რომ მოსკოვის ზურგს უკან, რომელსაც ძალიან სწამს თავისი კოზირის, თვალთმაქცური ორმაგი თამაში მიმდინარეობს. თურქეთს შეუძლია უზარმაზარი თანხები ჩადოს ნავთობსადენის აგებაში, რომ შემდგომში მასში ჩაასხეს ყაზახეთის ნავთობი, რომელიც ჯერჯერობით თითქოს რუსეთის გავლით უნდა მიდიოდეს. ბაქოს კი კრედიტების გამო შეიძლება დანაპირები დაავიწყდეს.

ს. ლეპკოვი
„იზვესტია" № 131

## სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდ ფასზე რეკომენდაციები გაუქმდა

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ თამაზ კუნჭულიამ განაცხადა, რომ წლევანდელი წლისათვის გაუქმდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდ ფასზე, ამიტომ, წინასწარ არ არის განსაზღვრული შესასყიდი ფასი არც ერთი სახის პროდუქტზე. შესასყიდი ფასი დგინდება ინდივიდუალურად, პროდუქციის მწარმოებელსა და შემსყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების შემდეგ.

თ. კუნჭულიას ცნობით, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების უქონლობის გამო თითქმის ნულზეა დაყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტის სახელმწიფო დამზადება: გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ კერძო შეკვეთები. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ არ არის განსაზღვრული შესასყიდი ფასები, წლეულს 1 კგ ჩაის შესასყიდი ფასი დაახლოებით 300-400 რუბლი იქნება, ხოლო 1 კგ ყურძენი 1000 რუბლამდე ელირება.

წლევანდელ წელს პურ-პროდუქტების კორპორაციას განზრახული ჰქონდა ხელშეკრულებით მოსახლეობისაგან შეესყიდა 100 ათასი ტონა ხორბალი. აქედან, 50 000 ტ საფურაჟე ხორბალი 1 ტ 60 დოლარად და 50 000 ტ ხორბალი მოსახლეობისათვის 1 ტ 80 დოლარად. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხორბლის ღირებულების 40%-ის წინასწარ გადახდას პურ-პროდუქტების კორპორაციის მიერ.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების უქონლობის გამო ჯერჯერობით შეჩერებულია ხელშეკრებულის დადება.

„რეზონანსი" № 75

## საფრანგეთმა სომხეთს 20 მილიონი ფრანკი გამოუყო

რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმების მხარდასაჭერად საფრანგეთი სომხეთს 20 მილიონ ფრანკს გამოუყოფს. პირველ ეტაპზე სომხეთი მიიღებს 4,5 მილიონ ფრანკს, ეს თანხა დაიხარჯება საჰაერო კომუნიკაციებზე კონტროლის პირობების გასაუმჯობესებლად, თანხის ნაწილი სომხეთის საგადასახადო ბალანსის გამოკეთებას მოხმარდება. დანარჩენი 15,5 მილიონი ფრანკი სომხეთს ცალკე ოქმის ხელმოწერის შემდეგ მიეცემა.

„ფინანსოვიე იზვესტია" № 50

## თურქეთმა აზერბაიჯანს კრედიტის დაფარვის ვადა გაუგრძელა

თურქეთის მთავრობამ აზერბაიჯანს შეღავათი გაუწია რესპუბლიკისათვის 1992 წელს გამოყოფილი 250 მილიონიან დოლარის კრედიტის დაფარვაში. აღნიშნული კრედიტის დაფარვის ვადა 1997 წლამდე გაუგრძელა. ახლა აზერბაიჯანმა 60 მილიონი ძირითადად თურქული მედიკამენტებისა და სურსათის შესყიდვაზე დახარჯა. ბაქოს ვალი 5 მილიონი დოლარია. თურქეთის მთავრობამ ვალის ვადაზე გადაუხდელობის გამო შეაჩერა აზერბაიჯანისათვის კრედიტის დარჩენილი ნაწილის გაცემა.

„ფინანსოვიე იზვესტია" № 50

## ლიტვის მთავრობა საბჭოთა სამხედრო აეროდრომის რეკონსტრუქციას აპირებს

ლიტვის მთავრობამ ოფიციალური გარანტიები წარუდგინა ინგლისის „მიდლენ ბანკს" 26,5 მილიონი დოლარი კრედიტის მისაღებად, ეს თანხა დასჭირდება შაულიაეშის მახლობლად მდებარე ყოფილი საბჭოთა სამხედრო აეროდრომის რეკონსტრუქციას. კრედიტს 8,5 წლით გასცემენ, წლიური გადასახადია 8,57%. აეროდრომის რეკონსტრუქციის პროექტი ჰოლანდიურ კონცერნ „ფილიპსს" ეკუთვნის. სპეციალისტების გაანგარიშებით, თუ ახალი აეროპორტი დღეში 13-15 გაფრენას მოემსახურება, რეკონსტრუქციაზე დახარჯულ თანხას 7 წლის შემდეგ ამოიღებენ. სამუშაოთა შემსრულებელს კონკურსის საფუძველზე აირჩევენ.

„ფინანსოვიე იზვესტია" № 50

## რუსეთი ყოველწლიურად 200 მილიონ დოლარს კარგავს...

იმის გამო, რომ ევროპული კავშირის ქვეყნებთან ვაჭრობისას მის მიმართ იყენებენ ანტიდემპინგურ ზომებს - ანტიდოპინგური პროცედურები ეხება რუსეთის საწარმოების მიერ სასუქების, ფეროშენადნობებისა და შავი და ფერადი მეტალურგიის პროდუქციის გაყიდვას. ევროპის კავშირის ქვეყნებში რუსეთის საქონელზე დაწესებული ანტიდემპინგური ბეგარა 70-80, ზოგჯერ კი, 100 პროცენტიც კია, რაც ერთ ტონა საქონელზე ასობით და ასი ათასობით დოლარს შეადგენს. ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამად რუსეთის წინააღმდეგ 7 ანტიდემპინგურ პროცედურას ატარებს, ევროპული კავშირის ქვეყნები - 15, იგივე პოლიტიკას ადგანან სამხრეთ კორეა და ლათინური ამერიკის ქვეყნები.

„ფინანსოვიე იზვესტია" № 50

## შევარდნაძის უპირველესი მეგობარი უპირველესი მტერია

ქართული პოლიტიკური ორგანიზაციის „მხედრიონის" ხელმძღვანელმა ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია იწყებს პარლამენტის დეპუტატთა ხელმოწერათა შეგროვებას, რათა აღძრან სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ. იოსელიანის აზრით, შევარდნაძემ საქართველოში ტიპური დიქტატურა დაამყარა, რომლის მოსპობას მხოლოდ მაშველთა კორპუსი თუ შეძლებს. ამ განცხადებას მოჰყვა რეაქცია, ანუ შევარდნაძის რადიოინტერვიუ, სადაც სახელმწიფოს მეთაურმა ამხილა „მხედრიონის" ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბოროტმოქმედება. რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა გახსნეს ეს საქმე. კერძოდ, ბოროტმოქმედის კაბინეტში მხედრიონელებმა აწამეს, შემდეგ კი კედელში ჩააბეტონეს 5 ადამიანი.

ამდენად, იოსელიანი ოფიციალურად დაადგა ბრძოლის გზას. ჯერ კიდევ ორი თვის წინ, თავის ინტერვიუში იოსელიანი ირწმუნებოდა, რომ შევარდნაძესთან არავითარი უთანხმოება არა მაქვსო, „მაგრამ მე ვთვლი, რომ ის აკეთებს ყველაფერს აუჩქარებლად, ძალიან ნელა".

ეს კონფლიქტი დიდი ხანია მწიფდებოდა. შევარდნაძე თანდათანობით იშორებდა იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ვინც ის ძალაუფლებამდე მიიყვანა.

და ბოლოს, მიაღწია მთავარ სიმშვიდის დამრღვევს, ჯაბა იოსელიანს. ბოლო ხანს სახელმწიფოს მეთაურმა მოამზადა კანონები, ჩაატარა რამდენიმე ღონისძიება, რის შედეგად იოსელიანის მოქმედებას ფრთები შეეკვეცა. შეიძლება ითქვას, რომ ნოემბრის არჩევნების წინ შევარდნაძემ არა მარტო დაჰკარგა ერთადერთი მოკავშირე, არამედ ძლიერი მტერიც შეიძინა.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 130

## გათბობის დროც მოვა

მოსახლეობა უკვე დიდი ხანია მიეჩვია სახლში უქმად მდგომ რადიატორებს, რომლებიც გათბობის საწინაალმდეგო ფუნქციას უფრო ასრულებს.

გამოდგება თუ არა არსებული თბოგაყვანილობა? — რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია იგი უქმად ყოფნით უფრო ადვილად ზიანდება, ვიდრე ექსპლუატაციისას. ამ საკითხთან დაკავშირებით მივაკითხეთ თბილისის მუნიციპალურ საწარმო თბომეურნეობას, სადაც გაირკვა, რომ ცენტრალური გათბობის იმედი უახლოეს წლებში ნაკლებად უნდა გვქონდეს. რაც შეეხება ნახშირზე მომუშავე საქვაბეებს, რომლებსაც ერთი ან ორი კორპუსის (გააჩნია ბინების რაოდენობას) გათბობა შეუძლიათ, მისი დამონტაჟება 10000$ დაჯდება. ამას დაემატება ნახშირით მომარაგების, მომსახურების და ექსპლუატაციის თანხები. ამ საქმეს ორგანიზება უნდა გაუკეთოს თვითონ მოსახლეობამ. შეაგროვოს თანხა და მიმართოს თბომეურნეობის სამმართველოს. რაც შეეხება თბოგაყვანილობას — მისი მოწესრიგება და თავიდან ამუშავება დიდ დროსთან და ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც თითო კორპუსს დაახლოებით 1000-1500$ დაუჯდება (სადარბაზოების და სართულების რაოდენობის მიხედვით) ესეც რომ არა, მოსახლეობას მეტწილად არ გააჩნია გადახდის უნარი. 1 კვ/მ ფართობის გათბობა კი 1500000 კუპონი ღირს.

ამ ზამთარს კი მერიის ეგიდით 20-მდე სკოლაში და ამდენივე საბავშვო ბაღში გაკეთდება ავტონომიური საქვაბეები, ეს ქვაბები იტალიიდან იქნება ჩამოტანილი, ზოგან კი დაიდგმება ნახშირის ინდივიდუალური ღუმელები.

ქალაქი ცენტრალურ ნაწილში არსებობს თბოელექტროცენტრალი. როგორც მერიაში გვითხრეს, მაქსიმალურად ცდილობენ აამუშავონ იგი ზამთრისათვის. ასე, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს შეიძლება ჰქონდეს კიდეც გათბობა, ესეც, რასაკვირველია, დიდ თანხებთან და მოსახლეობის გადახდისუნარიანობასთან არის დაკავშირებული.

თბომეურნეობის მუშაკთა აზრით ქვანახშირი მეტად პერსპექტიული საწვავია, მას სხვა ქვეყნებშიც აქტიურად იყენებენ.

მოსახლეობას მეტწილად ისევ მოუწევს შეშის ან „სალიარკის" ღუმელების დადგმა. ამ საწვავით მომარაგებას მერია მაქსიმალურად ცდილობს. ამ გზით გათბობა ნაკლებად კომფორტულია, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ შედარებით იაფია.

„ივერია ექსპრესი" № 34

## ავტომატი - პოლიტიკოსების იარაღი



წლევანდელი წელი ვერ მოუტანს ამიერკავკასიას სიმშვიდეს, თუმცა, გარეგნულად იგი ბევრად უფრო ხელსაყრელი ჩანს, ვიდრე წინა წლები და შეიძლება „ტოტალური" გარინდების წლად იქცეს: რეგიონის დამაძაბუნებელი აფხაზეთის და ყარაბაღის ლოკალური კონფლიქტები გაყინულია.

მაგრამ კარს პარლამენტის არჩევნებია მომდგარი საქართველოსა და აზერბაიჯანში (სომხეთში უკვე ჩატარდა). შიდაპოლიტიკური ცხოვრება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის „ცივი ომის" ჩარჩოებიდან გამოვიდა და ნელნელა იმატებს გრადუსებს.

ყველაზე უფრო დრამატული სიტუაცია საქართველოშია. ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი უახლესი თანამოაზრის, „საქართველოს დემოკრატიისა და აღორძინების" ფონდის პრეზიდენტის სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობას ადგილობრივი ელიტა უკვე დაუფარავად უკავშირებს ხელისუფლებისათვის ბრძოლას. ამავე სარჩულით განიხილავენ ნახევარი წლის წინ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას გახმაურებულ პოლიტიკურ მკვლელობას.

ქართველ ლიდერს პოლიტიკური ვაკუუმი ემუქრება. პირადი გუნდის პრობლემა მისთვის ყოველთვის მწვავე იყო. თავისი უფლებამოსილების თითქმის მთელი პერიოდი იმას შეალია, რომ თამაშგარე დაეტოვებინა იძულებითი მოკავშირეები - თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი, რომლებსაც უნდა უმადლოდეს გამსახურდიას ჩამოშორებას. პირველი მათგანი დღეს პატიმარია, მეორე კი - პოლიტიკური ცხოვრებიდან განაპირებული. მაგრამ ორთავეს შეიარაღებული თანამოაზრენი საკმაოდ ჰყავს, რომელთა უვნებელყოფა ამჟამად პოლიციას და უშიშროების სამსახურს აქვს მინდობილი.

სწორედ ისევე, როგორც თავის დროზე პოლიტიკური მიზნებისთვის თქვეს უარი კანონზე და მოიშორეს ექს - პრეზიდენტი, საქართველოში ოპოზიციასთან ბრძოლა დღესაც მუშტებით ბრძოლის წესებით მიდის. შევარდნაძე კვლავ იძულებულია ისევ სხვა ძალას დაეყრდნოს, დაე, თუნდ ისინი „საკუთარი" ძალოვანი მინისტრები იყვნენ.

მაგრამ მათი პოზიციის ასეთმა აშკარა და თვითკმარმა გაძლიერებამაც კი ვერ უშველა საქმეს და პოლიტიკური ტერორის აქტების ძიებამ წინ ოდნავადაც ვერ წაიწია. ხოლო სახელმწიფოს მეთაურმა დაჰკარგა ადამიანები, რომლებიც დღეს მისი პოლიტიკური მოკავშირეები იქნებოდნენ.

ოგონიოკი №28

## სიმართლე შვილიშვილამდინაო

**პეტრე უმიკაშვილი**

ერთი ქურდი კაცი თურმე იყო, დიახ მოუსვენარი. უშლიდა მამა ბოროტს ყოფაქცევას: კაცმა თავისი უნდა ჭამოს და არა სხვისაო. შვილმა ყურადღება არ მიაქცია მამის დარიგებას. შემდეგ მამამ უთხრა შვილს: ნადი, შვილო, და ეს სამი მთა გადაიარეო, რომლიდანაც რა ხმა გაიგონო, მოდი და მითხარიო. გაუგონა შვილმა და აუსრულა თხოვნა. როდესაც მოვიდა მთიდგან, უთხრა მამას: მესამე მთამ მითხრაო, ნადი და მოგეწევიო. ამიხსენ, მამავ, რა არის ესაო? მამამ უთხრა: შენი ავკაცობისათვის არც შენ გეკითხვის, არც შენს შვილსაო, შვილიშვილს კი გარდახდებაო. ნათქვამია, მამამ ჭამა ტყემალიო, შვილიშვილს კბილები დაჭრაო. ყველამ იცოდეო, — სიმართლე შვილიშვილამდინაო.

„ბურჯი ეროვნებისა" № 2

## საქართველოში საარჩევნო მარათონი დაიწყო

## რესპუბლიკელები გუნდურ მართვას ემხრობიან

14 ივნისს გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც პარტიის მეორე ყრილობასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა.

8 ივლისს ჩატარდა მეორე ყრილობა, რომლის მუშაობა ორ ნაწილად გაიყო. პირველ ნაწილში ყურადღება გამახვილდა ორგანიზაციულ და საკადრო საკითხებზე, მეორე ნაწილში — საარჩევნო პლატფორმის შემუშავებაზე. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია არ ასახავს რომელიმე ერთი პოპულარული პოლიტიკური ფიგურის მიმართ განუზომელ სიმპათიებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ ნათაძის არჩევის მიუხედავად, პარტია მხოლოდ ყრილობასა და დარბაზის მუშაობის დროს შემუშავებულ გადაწყვეტილებებს გაატარებს და არა რომელიმე კონკრეტული პირის მოსაზრებებს. შიდა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, მათ შორის ფინანსების განკარგვა, აღმასრულებელი მდივნის, რომან გოცირიძის, ფუნქციაში შედის. რაც შეეხება პარტიის გარე ურთიერთობებს საზოგადოებასა და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, ამ საკითხებზე მუშაობს პოლიტიკური მდივანი დავით ბერძენიშვილი.

პაატაშვილმა, ურუდიამ და მელაშვილმა მმართველობით ორგანოში ყოფნაზე უარის თქმა იმით არ ახსნეს, რომ პარტიაში შიდა განხეთქილებაა. პრესკონფერენციაზე მელაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი და სხვა ქარტიელები რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები არიან და არ არის აუცილებელი მაინც და მაინც მმართველობით ორგანოში ყოფნა. პრესკონფერენციას ლაიტმოტივად გასდევდა აზრი, რომ რესპუბლიკური პარტია გუნდური მართვის მომხრეა. თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ დღეს ბევრი პარტია ერთი კაცის აზრზეა დამოკიდებული (მათ დაასახელეს ასეთი პარტიებიც), მაშინ ცხადი ხდება, რომ რესპუბლიკელები უფრო ცივილიზებული ფორმით მართვას ირჩევენ.

დავით ბერძენიშვილი: „იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარტიის პირველი პირი, ორი-სამი თვით დასასვენებლად წავა, როგორც ეს სჩვევია, მაგალითად, აკაკი ასათიანს, პარტია დამოუკიდებლად ვერ შეძლებს არსებობას და დაიშლება" რესპუბლიკელების პოზიცია კარგად ვლინდება პარლამენტის სხდომებზეც. ფრაქციასთან შეთანხმების გარეშე მისი თავმჯდომარე ვერ გაიტანს გადაწყვეტილებებს.

ბერძენიშვილის დახასიათებით, მოქალაქეთა კავშირი არის მწვანეებთან შეზავებული კომუნისტური ნომენკლატურა, რომელიც შევარდნაძეზეა ახუნძლული. ერთი წუთით რომ დავუშვათ შევარდნაძის წასვლა, სმკ უკვე აღარ იარსებებს. მოქალაქეებისა და რესპუბლიკელების მიმართება ამ საკითხთან სრულიად სხვადასხვაგვარია.

ჟურნალისტმა დასვა შეკითხვა, გია ჭანტურიას დაღუპვის შემდეგ რამე ცვლილება თუ შეეტყო ედპ-ს ხელმძღვანელობასო, რაზეც რესპუბლიკელებმა უპასუხეს: რასაკვირველია, გია ჭანტურიას ყოფნა ბევრად სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ მის შემდგომაც ეროვნულ-დემოკრატებს დასუსტება არ შეტყობიათ. პირიქით, პარტია სტრუქტურული თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერია და მას დაშლა არ ემუქრება. რესპუბლიკელები თვლიან, რომ ეს არის პარტია, რომელიც ოპერატიულად აფიქსირებს აზრთა ცვლილებას და არ ჰგავს ტრადიციონალისტებს, რომლებიც ხშირად იცვლიან პოზიციებს. რესპუბლიკელებს არ ეშინიათ ცალკე სუბიექტად არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ, ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ სურთ ჰქონდეთ მჭიდრო თანამშრომლური ურთიერთობა ძლიერ პოლიტიკურ დაჯგუფებებთან. გამოითქვა დაუფარავი შიში იმასთან დაკავშირებით, რომ დღევანდელი ხელისუფლება არჩევნების პერიოდში უკანონოდ იმოქმედებს. გატარდა აზრი, რომ ხელისუფლების მხრიდან იქნება მცდელობა ოპოზიციის მოსაზრებების ინფორმაციულ ვაკუუმში მოხვედრისა. მაგრამ დამოუკიდებელი პრესის თანადგომის იმედი რესპუბლიკელებს მაინც აქვთ.

რესპუბლიკელებმა ჟურნალისტებს არჩევნების ამერიკელი სპეციალისტების ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია გააცნეს: წინასაარჩევნო კომპანიაში პოლიტიკურმა პარტიებმა საზოგადოების რომელიღაც გარკვეული ფენის მხარდაჭერა უნდა მოიპოვონ. ეს წარმატების საწინდარი იქნება. ამერიკელი სპეციალისტები დაინტერესდნენ, ვის მხარდაჭერას ეყრდნობა რესპუბლიკელთა პარტია, რაზედაც მიიღეს პასუხი, რომ მათ აქვთ საზოგადოების ჭკვიანი და თავლია ნაწილის იმედი.

„ახალი თაობა" № 45
იბეჭდება შემოკლებით.

## როგორც ეშმაკს ჯვრის ეშინია, ისე ეშინიათ „მხედრიონის"

მხედრიონი 7 წლის წინ, 1988 წელს, შეიქმნა. იმ დროს, პოლიტიკურთან ერთად, სამხედრო მიზნებიც ჰქონდა, მაგრამ ლეგალიზებული არ იყო. მაშინ სათავეში კომუნისტები იყვნენ. ჯერ ისინი გვდევნიდნენ, მერე გამსახურდია, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის არც ინტერესი და არც პრეტენზია არასოდეს გვქონია. რამდენი მთავრობაც კი მოვიდა ხელისუფლებაში, ყველამ ჩვენი დაჩაგვრა მოინდომა. ორი მთავრობა მოვიდა ჩვენს სისხლზე, ახლა მესამეს სურს ჩვენს სისხლზე მოსვლა. ჩვენ ისევ მონები ვართ. ახლაც ამბობენ, მხედრიონმა თავისი დრო მოჭამა, იომა და წავიდესო. სად უნდა წავიდეს? არ წავალთ! ახლა პოლიტიკაში გვსურს მოსვლა, „ვსიო"!. ჩვენ რაც ვთქვით, ის გავაკეთეთ. 800 ბიჭი დაღუპული გვყავს და 1200 დასახიჩრებული. ყველაზე მეტი საფუძველი გვაქვს, აქტიურად ჩავერიოთ ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბლის გადაწყვეტაში.

იუსტიციის მინისტრს პარტია რეგისტრაციაში ჯერ არ გაუტარებია. წინდაწინ გეტყვით - არ გამოვრიცხავ, ფორმალური რაღაცეების გამო არ დაგვამტკიცონ. როგორც ეშმაკს ჯვრის ეშინია, ისე ეშინიათ მხედრიონის, ეშინიათ ყველა ამ დიქტატორულ ცრუდემოკრატებსა და მათ, ვინც ტყავი ორჯერ გამოიცვალა და ახლა მესამედ გამოიცვლ[illegible].

„ალია საქართველოდან" № 33
იბეჭდება შემოკლებით

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის სხდომა

გაიმართა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის რიგგარეშე სხდომა. სხდომაზე განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები. იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებული იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამოთქმული მრავალი შენიშვნა, ჯერჯერობით მაინც რჩება მთელი რიგი სადავო საკითხები, რომლებიც, როგორც პარტია მიიჩნევს, უშუალოდ უკავშირდება საქართველოს მომავალ ცხოვრებას. მთავარმა კომიტეტმა კიდევ ერთხელ განიხილა კონსტიტუციის პროექტის ის ნაწილი, რომელიც ეხება პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობას. განიხილეს, აგრეთვე, საარჩევნო კანონთა პროექტები, რომლებიც წარმოადგინა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ. მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა რევაზ საყვარელიძემ აღნიშნა, რომ არჩევნების წესის განსაზღვრის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეძლებს წარუდგინოს პარლამენტს თავისი კანონპროექტი არჩევნების შესახებ. სხდომაზე განიხილეს აგრეთვე პარტიის ახალგაზრდული პოლიტიკისა და პოლიტიკაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატის" მონაწილეობის საკითხები.

„ივერია ექსპრესი" № 35

# რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკება

რუსეთ-ჩინეთის ექვსიათას კილომეტრიან საზღვარზე ჯარებისა და შეიარაღების შემცირების თაობაზე მოლაპარაკება ჯერ კიდევ შევარდნაძემ დაიწყო. ჩინეთი, ასევე, ესაზღვრება ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს. ამ წინადადებას სიამოვნებით მიიღებდა მთელი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი. მოლაპარაკების მონაწილე რუსი დიპლომატების აზრით, ყველა თანახმაა საავიაციო და სახმელეთო ჯარების, საჰაერო თავდაცვის ნაწილების შემცირებისა (ხელუხლებელი უნდა დარჩეს მხოლოდ ტაქტიკური ბირთვული იარაღი). ეს უნდა მოხდეს ორმხრივი განივის ასკილომეტრიან სასაზღვრო ზონაში.

ჩინეთის საზღვართან მდგარი რუსეთის 130 ათასიანი სამხედრო დაჯგუფება სწორედ ამ ასკილომეტრიან ზონაშია განლაგებული. ამიტომ, ნებისმიერი მოლაპარაკება, ფაქტობრივად, დასრულდება ცალმხრივი, რუსეთის მხარის განიარაღებით. ჩვენ ამას არ დავეთანხმებით, - განაცხადა პეკინში ჩასულმა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა.

სანამ დათმობის ვარიანტები მუშავდებოდა, სამხედრო დიპლომატებმა გადაწყვიტეს, შემთხვევითი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად საზღვრის მაქსიმალური უსაფრთხოების დაცვა.

ხუთწლიანი მოლაპარაკების შემდეგ, სასაზღვრო ზონაში ნდობის მიზნით, უნდა შეიზღუდოს სამხედრო სწავლების მასშტაბები, ლაზერის იარაღის გამოყენება, რადიოგადაცემების დაუბრკოლებლობა, საერთოდ, ყოველგვარი სამხედრო აქტივობა, რაც საფრთხეს შეუქმნის მეზობელ ქვეყნებს.

„კომსომოლსკაია პრავდა“ № 12

# საფარმურატ ნიაზოვი ფასს არ დაგიდევთ

აშხაბადში გაიმართა პრეზიდენტის სასახლის საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალი. სასახლეს, რომლის საერთო ფართი 16 ათასი კვ. მ. იქნება, გარს შემოერტყმება უზარმაზარი პარკი, ფრანგული ფირმა „ბუინგი“ სასახლის ორ წელიწადში აშენებას ვარაუდობს. ეს ამ ფირმის მიერ აგებული მეორე ობიექტი იქნება - ახლა მთავრდება „საფარმურატ ჰაჯის“ მეჩეთის მშენებლობა. ორივე პროექტის განხორციელება 700 მილიონი ფრანკი დაჯდება.

"კომერსანტ დეილი" № 125

# დიდი მეზობლები - დიდი პრობლემები

დამთავრდა რუსეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის გაერთიანებული მოლაპარაკება ჩინეთის დელეგაციასთან სასაზღვრო რაიონებში შეიარაღებულ ძალთა შემცირების და სამხედრო საქმეში ნდობის გასამტკიცებელი ზომების თაობაზე. ამ საკითხების შეთანხმების პროექტი შეიძლება მომზადდეს შემოდგომაზე, ჩინეთში ბორის ელცინის დაგეგმილი ვიზიტის დროს, მაგრამ რუსეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის უთანხმოება არსებობს. მოსკოვში ჩინეთის საელჩომ დაჰგმო მოსკოვში ტიბეტის სულიერი ლიდერის, დალაი-ლამას 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ე. ცეუნმა განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ამგვარი ღონისძიების წინააღმდეგია.

„კომერსანტ დეილი“ № 127

# ავარია ხარკოვში

უკრაინის მეორე დიდ ქალაქში, ხარკოვში, მესამე კვირაა, დაინგრა გამდინარე წყლის სისტემა და წყლის მიწოდება ძალზე შეიზღუდა. მსგავსი ფაქტები მეტად ხშირია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში,

ამ ავარიაზე (ხელოვნურია თუ ბუნებრივი) დამოკიდებულია 52 მილიონი უკრაინელის სიცოცხლე.

ხარკოვის წყლის მომმარაგებელი სისტემის აღსადგენად უკვე მუშაობენ სპეციალისტები. რუსეთმა დიდი დახმარება გაუწია უკრაინელებს - აღადგინეს 2 წყალსაცავი სადგური, რომელიც 30 ივნისს კოკისპირულმა წვიმამ დაანგრია.

ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ქალაქის დაწესებულებებს და დაჟინებით მოუწოდებდა ხალხს, დაეტოვებინათ ქალაქი წყალსაცავი სისტემის აღდგენამდე.

- სისტემის შენების პროცესში, ეს მომენტი ვერ გავითვალისწინეთ. ჩვენი მოწყობილობა ძალიან ძველია, - ამბობს სამოქალაქო დაცვის ადმინისტრაციის უფროსი ვიქტორ გაიდარი.

მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოები კარგად მუშაობენ, ათასობით პაციენტი და ფეხმძიმე იძულებულნი არიან, დატოვონ ქალაქი.

ხელისუფლების მოხელეები იმედოვნებენ, რომ მომავალში ყველაფერი მოგვარდა და ინფექცია არ იფეთქებს.

„ინტერნეიშნლ ჰერალდ თრიბუნი“

# სკანდალი ჯანმრთელობის დეპარტამენტის მეთაურის გამო

მოსკოვის ქალაქის დუმაში იხილებოდა ჯანმრთელობის დეპარტამენტის მეთაურის, ანატოლი სოლოვიოვის უნდობლობის საკითხი.

საფინანსო დეპარტამენტის სარევიზიო სამმართველომ ჯანმრთელობის დეპარტამენტის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაში მრავალი დარღვევა აღმოაჩინა. ქალაქის ბიუჯეტიდან გაფლანგულია მილიარდი მანეთი. სახელმწიფო ფულის გაფლანგვისათვის დამნაშავეებს საყვედური მიეცათ. დეპუტატების წინაშე თავის გასამართლებლად თვით სოლოვიოვი წარსდგა (ადრე ყოველთვის მოადგილეებს აგზავნიდა). ქალაქის მთავარი ექიმი არ დაეთანხმა მის მიმართ გამოჩენილ უნდობლობას; გარდა ფინანსური დარღვევებისა, დუმას აღელვებდა სოლოვიოვების ოჯახის მდგომარეობაც. ჯანმრთელობის დეპარტამენტის მეთაურის მეუღლის ლიუბოვ სოლოვიოვას მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მეუღლესთან ერთად ვენაში მიმავალი სოლოვიოვა აეროპორტ „შერემეტიევო-2“-ში დააკავეს მებაჟეებმა. ჩემოდანში აღმოუჩინეს 40 ათასი დოლარი, რომელიც დეკლარაციაში არ იყო ჩაწერილი. ამ ფაქტის გამო ავიატრანსპორტის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. ამჟამად საქმე შეჩერებულია, დამნაშავე არ ცხადდება პროკურატურაში. თვით სოლოვიოვმა დუმის დეპუტატების შეკითხვას, საიდან გქონდათ ეს თანხაო, პასუხი არ გასცა.

დუმაში ფარული კენჭისყრის დროს სოლოვიოვს 31 დეპუტატიდან 8-მ უნდობლობა გამოუცხადა. გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო 26 ხმა.

„მოსკოვსკი კომსომოლეცი“ № 130

## საზოგადოებრივი აზრი

ფონდმა „საზოგადოებრივმა აზრმა“ მოსკოვსა და პეტერბურგში ჩაატარა გამოკითხვა. სხვა კითხვებს შორის ერთ-ერთი იყო:

თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა უნდა დატოვოს თუ არა პოსტი?

დიახ, - 70%

არა, - 11%

მიჭირს პასუხის გაცემა - 19%.




**გრაჩოვი თავისით უკან არ დაიხევს.**

ამა თუ იმ თანამდებობის პირის მოხსნა საქმეს არ შველის. ბუდიონოვსკის შემდეგ გრაჩოვისთვის პოსტის შენარჩუნება დიდ უსამართლობად მიმაჩნია... უეჭველია, ეს პრეზიდენტის პირადი არჩევანია, მისი გაგებაც შეიძლება - თავდაცვის მინისტრთან, 1993 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ბევრი მძიმე დღე აკავშირებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მთავარ მონაწილეს ჩეჩნეთის ამბები აპატიო.

გრაჩოვი უშუალოდ არ აგებს პასუხს ბუდიონოვსკისთვის, მაგრამ ბუდიონოვსკი ხომ ჩეჩნეთის ომის პატარა მოდელია; თავისი თვალსაჩინოებით, კონცენტრირებული სისასტიკით, გარდუვალი არჩევანის აუცილებლობამ ბევრ პოლიტიკოსს, მათ შორის, ელცინსა და ჩერნომირდინს, უკან დაახევინა, რასაც ვერ ვიტყვით გრაჩოვზე.

გრაჩოვი ზნეობის იმ კატეგორიებით არ აზროვნებს, როგორითაც - საზოგადოება, იგი აზროვნებს, როგორც სამხედრო ადამიანი, თუმცა ვერ ვიტყვით, რამდენად პროფესიულად, ბევრმა, მათ შორის ჩეჩნეთის ომმაც, საპირისპირო დაადასტურა.

ერთადერთი, რაც დღესავით ნათელია, ის არის, რომ იგი პოლიტიკურ მოღვაწედ უვარგისია, უფრო მეტიც, საშიშიც.

ოტო ლაცისი
„იზვესტიის“ მიმომხილველი
„ოგონიოკი“ № 29“

# კომუნისტები „რუსეთის“ წინააღმდეგ

ყირიმის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობა შარშან გაზაფხულზე აირჩიეს. მაშინ დეპუტატის 14 მანდატის გაყოფისას, ბლოკმა „როსიამ“, ყირიმის რესპუბლიკურმა პარტიამ და რესპუბლიკურმა მოძრაობის პარტიებმა 11 მანდატი მიიღეს, კომუნისტებმა-2, ყირიმის ეკონომიკური აღორძინების პარტიამ - 1. ბლოკის ლიდერმა ი. მეშკოვმა მაშინ სატელევიზიო გამოსვლაში თქვა: ყირიმელებმა თავიანთი არჩევანი გააკეთეს და პარტიები, რომელბსაც უნდობლობა გამოუცხადეს, პოლიტიკური არენიდან უნდა წავიდნენ.

როცა ამ ერთი კვირის წინ ცნობილი გახდა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩევნების საბოლოო შედეგები, რესპუბლიკური პარტიის ლიდერების ტონი შეიცვალა. მათმა კანდიდატებმა ძლივს მოიპოვეს 1 მანდატი. ამჯერად გამარჯვება კომუნისტებმა იზეიმეს, რაც შემთხვევითი არ იყო, უკვე რამდენიმე თვეა, ყველა სოციოლოგიურმა მაჩვენებელმა ცხადჰყო, რომ მათ მეტოქე უბრალოდ არ ჰყავთ.

ამას ყველაფერს ის შედეგი მოჰყვა, რომ ყირიმის უმაღლესი საბჭო, რომელიც მანამდეც დაჩაგრული იყო, ახლა უფრო ცუდ დღეში ჩავარდა, - უკრაინის ხელისუფლებასთანაც წაჩხუბებულია და საკუთართანაც, ამასთან, აღარც ხალხის მხარდაჭერის იმედი აქვს. დღეს ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც მას რამედ აგდებს, რუსეთის სახელმწიფო დუმაა.

რა თქმა უნდა, წლევანდელი არჩევნები რთულ პირობებში მიმდინარეობდა, იზრდება კრიმინალური სტრუქტურების აქტივობა, მძაფრდება ეროვნებათაშორისი ურთიერთობა. „გასაგებია, რომ ასეთ პირობებში არც იყო მოსალოდნელი ყირიმელთა პოლიტიკური აქტივობა, ასეც მოხდა - არჩევნებში მხოლოდ 54%-მა მიიღო მონაწილეობა.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ № 45
'იბეჭდება შემოკლებით



# ჩეჩნეთისაგან დამოუკიდებელი რუსეთი

გროზნოში თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა მოლაპარაკება. მისი საბოლოო ფორმულა ასეთია: აღიარებულ იქნას ჩეჩნეთის ის პოლიტიკური სტატუსი, რომელიც უკანასკნელ 4 წელიწადს ჰქონდა. ომი „დუდაევის უკანონო რეჟიმის“ წინააღმდეგ დაიწყო. ომის შედეგები: აღიარებული იქნას „ჩეჩნეთის სტატუსი“, - დუდაევის ჩეჩნეთისა, ეს კი იმას ნიშნავს რომ აღიარებული იქნას დუდაევის რეჟიმი! ასე იწყება ჩეჩნეთში თავისუფალი არჩევნებისთვის მზადება. ალბათ ახლა უკვე აღარავის ეპარება ეჭვი მის შედეგებში: დუდაევის რეჟიმი აღდგენილი იქნება. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება სათავეში მოვიდეს არა დუდაევი, არამედ იმაევი, ან მისი სხვა რომელიმე ახლობელი. მაგრამ საქმე მარტო ის როდია, რომ რეჟიმი აღდგება. ახლა მას გამარჯვებულის შარავანდი მოსავს. რაც ვერ შეძლო შამილმა, მოახერხეს დუდაევმა, ბასაევმა და სხვებმა. ჩეჩნეთის სტატუსის აღიარებას მოჰყვება ის, რომ რაც აქამდე „ნახევრად იატაკქვეშეთში“ იყო, ახლა აშკარად წარმოჩნდება, დე-ფაქტო, ახლა სტატუს დე-იურეს მიიღებს.

„არგუმენტი ი ფაქტი“ № 29



# ბიუჯეტს ატყავებენ

რუსეთის ფედერაციის მთავრობის სახლში გაიმართა ჩეჩნეთის მეურნეობის აღდგენისადმი მიძღვნილი მორიგი სხდომა, რომლის დამთავრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩეჩნეთი როგორც იყო, ისევე რჩება „შავ ორმოდ“, სადაც ტრილიონობით მანეთი იყრება. მარტო უკანასკნელ 4 თვეში თითქმის 2,5 ტრილიონი! ფინანსთა მინისტრი ვ. პანსკოვი წუწუნებდა, რომ ჩეჩნეთში ოქროს წვიმა კომერციული ბანკების გავლით მოდის, ეს ბანკები კი არც არავის დაუმტკიცებია და ნაწილს არც არავინ იცნობსო. პრემიერ-მინისტრი ვ. ჩერნომირდინი ამ განცხადებას არ შეუშფოთებია, ეტყობა, ჩეჩნეთის თემა აღარ აწუხებს. ანგარიშში არავის ჩაუბარებია, სად დაიხარჯა 2,5 ტრილიონი მანეთი, საინტერესოა, რომ ქვეყნის ბიუჯეტში სტრიქონიც კი არ წერია ჩეჩნეთის აღდგენაზე. ომი ყველაფერს ჩამოწერს.

„არგუმენტი ი ფაქტი“ № 29

# გროზნოში ბრძოლების დროს რუსეთის ოფიცრებმა თითქმის 8 მილიონი დოლარის სავალუტო ობლიგაციები მოიპარეს

გროზნოში ბრძოლების დროს რუსი ოფიცრების მიერ 7,8 მილიონი დოლარის სავალუტო ობლიგაციების მოპარვის საქმეს სვერდლოვსკის ოლქის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველო ურალის ოლქის სამხედრო პროკურატურასთან ერთად იძიებს.

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის განცხადებით, ჯერ კიდევ 1993 წელს, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კონცერნმა „გროზნეფტმა“ რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროსაგან შინაგანი სავალუტო სესხის 7 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების ობლიგაციები მიიღო, რომლებიც „კრედო-ბანკის“ გროზნოს ფილიალში ინახებოდა.

სამხედრო მოქმედებების დროს გროზნოში „კრედო-ბანკის“ ფილიალის შენობა ნაწილობრივ დაინგრა და დაიწვა. რუსეთის ჯარების ერთ-ერთი ნაწილის შტაბის უფროსმა მაიორმა და ოცეულის მეთაურმა, პრაპორშჩიკმა სწორედ აქ გადაწყვიტეს თავიანთი პოლკის უფროსისათვის სამეთაურო პუნქტი მოეწყოთ. მათ აფეთქეს „კრედო-ბანკის“ საგანძურის ლითონის კარები და ობლიგაციებსაც დაეპატრონნენ. ფასიანი ქაღალდების რეალიზების მიზნით, მარადიორმა ოფიცრებმა ობლიგაციები სამხედრო კონტრდაზვერვის უფროს ოპერრწმუნებულს გადასცეს, რომელმაც თავისი აგენტურის მეშვეობით შეიტყო მიმხდარი. პოდპოლკოვნიკი - კონტრდაზვერავი სუსტად ერკვეოდა ფასიან ქაღალდებში, ამიტომაც ეკატერინბურგის ერთ-ერთი ფირმის დირექტორს მიაკითხა და მისი საშუალებით მოახერხა ობლიგაციები მოსკოვში, ამერიკის „ინტერბანკისათვის“ მიეყიდა.

წინასწარი გამოძიებით, ნაპოვნია და ამოღებულია არარეალიზებული ობლიგაციების ნაწილი, აგრეთვე, 597,000 დოლარი. დაზარჩენი ფასიანი ქაღალდების ადგილმდებარეობა და დანაშაულში „ინტერბანკისა“ და „ვნეშტორგბანკის“ თანამშრომელთა მონაწილეობა დგინდება.

„მოსკოვსკი კომსომოლეცი“ № 129

# შამილ ბასაევის ოჯახი აფხაზეთშია

შამილ ბასაევს კორესპონდენტი რესპუბლიკის მთიან სოფელში შეხვდა „ბოევიკმა“ უარყო ხმები, თითქოს იგი პაკისტანში იმყოფებოდა, ან აფხაზეთს აფარებდა თავს. აფხაზეთში, საიმედო ხალხთან ოჯახი ჰყავს დაბინავებული, თვითონ კი ჩეჩნეთს არ გაცილებია.

- მოლაპარაკება გროზნოში ჯერჯერობით ნორმალურად მიმდინარეობს, ჩეჩენ მეთაურებთან მუდმივი კავშირი მაქვს, რაც შეეხება რუსეთს, ჩანს, ისინი ნელნელა ხვდებიან ამ ომის უაზრობას. თუ რაიმე ჩაიშალა მესამე ძალის ჩარევით ომი გაგრძელდა და ჯარმა გააგრძელა ჩეჩნების ხოცვა, კარგად ვიცი, როგორც მოვიქცევი.

ჩემი ნათქვამი, რუსეთის ტერიტორიაზე ბაქტერიოლოგიური და ატომური იარაღის გამოყენების შესახებ სამხედროების სისულელედ, ტყუილ მუქარად მიაჩნიათ... დაფიქრდით, საკმარისია მოსკოვის რომელიმე ქუჩაზე სიკვდილმატარებელი ბაქტერიების კონტეინერის აფეთქება და მთელ მოსკოვს შავი დღე დაადგება. მაქვს რადიაქტიული ელემენტებით დატენილი კაფსულები, მაგრამ ვიმედოვნებ, საქმე აქამდე არ მივა. დარწმუნებული ვარ, რეფერენდუმი დაამტკიცებს ჩემი ხალხის ლტოლვას დამოუკიდებლობისაკენ, რუსეთისგან გამოყოფისაკენ, თუ ასე არ მოხდა, ხალხის წინააღმდეგ არ წავალ.

ბასაევთან საუბარი გროზნოში ოქმზე ხელმოწერამდე მიმდინარეობდა. დოკუმენტის თანახმად, ჩეჩნეთის სტატუსი განისაზღვრა, როგორც „სუვერენული რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში“. საველე მეთაურებთან და უეჭველია, დუდაევთან კონსულტაციების შემდეგ, უსმან იმაევი დაეთანხმა ასეთ ფორმულირებას.

„კომსომოლსკაია პრავდა“ № 128

# მსოფლიოს უმდიდრესი მეოცნებე — ბილ ჰეითსი

№ 13 „კვირის პალიტრაში" პირველ გვერდზე შემოგთავაზეთ მსოფლიოში 10 უმდიდრესი ადამიანის ვინაობა, ნუსხის სათავეში პირველ ნომრად დასახელებულია ბილ ჰეითსი.



ბილ ჰეითსის კომპანიას ჰყავს მტრები — კონკურენტები კი არა, სწორედ რომ მტრები. ისინი ასეც ამბობენ: „მაიქროსოფთი" კოლაფსის ზღვარზე მისულ ეკოსისტემად იქცა, როდესაც „მაიქროსოფთი" გასკდება, ყველაფერს, რასაც კი უკავშირდება, თან ჩაითრევს. რადგან ის ჩვენთან ყველასთან მჭიდრო კავშირშია, გამოდის, რომ მასთან ერთად დავიღუპებით. მტრები, ალბათ მართალნი არიან, აბა, წარმოიდგინეთ: მსოფლიოში ათიდან რვა კომპიუტერი ვერასოდეს იმუშავებს იმ პროგრამული შიგთავსის გარეშე, რომელიც „მაიქროსოფთში" კეთდება.

ყველაზე ბანალური, რაც კი შეიძლება ითქვას კომპანიის დამაარსებლისა და პრეზიდენტის შესახებ, ის არის, რომ იგი ამერიკული ოცნების ცოცხალი ხორცშესხმაა. 20 წლის წინ ჰეითსმა პირველი კომპიუტერებისთვის შექმნა ოპერატიული სისტემა, შემდგომში სისტემა სტანდარტად იქცა და ფაქტობრივად ამით დაიწყო პერსონალური ეგმ-ის ერა.

დღეისათვის „მაიქროსოფთი" ნამდვილ იმპერიად ჩამოყალიბდა, ამ იმპერიის ინტელექტუალურმა პროდუქტმა მოიცვა მთელი მსოფლიო, არ დარჩა თანამედროვე ტექნოლოგიის არცერთი სფერო, რომელშიც ჰეითს არ დაემარცხებინოს კონკურენტები: ინტელექტუალური ტელევიზია, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული გათვლები, გასართობების ინდუსტრია — ყველგან დამკვიდრდა ბილ ჰეითსი...

ათასობით ადამიანი, რომელიც მუშაობდა და მუშაობს მის კომპანიაში, მილიონერები გახდნენ, სამი მათგანი უკვე მილიარდერია. თავად ჰეითსის ქონება 12,9 მილიარდ დოლარად არის შეფასებული იგი მილიარდერთა სათავეში მოექცა და ამაზე წერდა ამერიკული ჟურნალი „Forbes"-ი, ბილი ჰეითსმა ყოველგვარი მემკვიდრეობის გარეშე, თვითონ შექმნა თავისი სიმდიდრე.

20 წლის წინ მას მეოცნებეს უწოდებდნენ, ჯიუტად იმეორებდა, — ჩემს სიცოცხლეშივე (იგი ამას მოესწრება) კომპიუტერი ყველა ოჯახში დაიდგმებაო. ახლა ჰეითსი მხოლოდ 39 წლისაა, მან ბავშვური უშუალობა და ღიმილი შეინარჩუნა, იგი საერთოდ ჰგავს მოზარდს — იქნებ, მისი თამაში — „სტიმულატორები" სწორედ ამიტომაც არის ყველაზე პოპულარული მსოფლიოში.

„ოგონიოკი" № 29

# შირაკი ბრძანებს — ბირთვული იარაღის გამოცდა „გადაუდებელია"!

პრეზიდენტი ჟაკ შირაკი არად აგდებს საერთაშორისო პროტესტს. მას გადაუდებლად მიაჩნია წყნარ ოკეანეში ბირთვული იარაღის გამოცდის გაგრძელება.

14 ივლისს, კონფერენციაზე, შირაკმა თქვა, რომ ფრანგული ბირთვული არსენალი სახელმწიფოს დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზია და ფრანგ ხალხს ამ პროგრამისა არ უნდა ეშინოდესო.

მიუხედავად ამისა, ბევრი არ ეთანხმება ჟაკ შირაკს. ბირთვული იარაღის გამოცდის პროგრამის განახლების წინააღმდეგ გამოდის საზოგადოების უმრავლესობა, ისინი ბოიკოტსაც მოითხოვენ.

შირაკმა განაცხადა - (სამოქალაქო და სამხედრო საქმის ექსპერტების რჩევით), რომ ამ პროგრამის ჩატარება აუცილებელია ქვეყნის ბირთვული არსენალის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. ეს ქვეყანას „მსოფლიოში პოლიტიკურ სიმტკიცეს მოუტანსო".

ამ პროგრამის განახლებას სიდნეიში 100 000-მა ანტიბირთვულმა დემონსტრანტმა მარშით გამოუცხადა პროტესტი.

ბირთვული იარაღის გამოცდის პროგრამის განახლების მხოლოდ განცხადებამ დაძაბა ურთიერთობა ავსტრალიასთან, ახალ ზელანდიასთან და აზიის მეზობელ ქვეყნებთან, რადგან გამოცდა საფრანგეთის მოშორებით, ამ ქვეყნების სიახლოვეს უნდა ჩატარდეს.

ველინგტონში, საფრანგეთის საელჩოს წინ, პროტესტის ნიშნად დემონსტრაცია გაიმართა, ლონდონში ათასობით პროტესტანტმა ხელი შეუშალა საფრანგეთის საელჩოში ბასტილიის დღის აღნიშვნას.

„ინტერნაციონალ ჰერალდ ტრიბუნი"

ივნისში 5-მა ქვეყანამ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი) დაარწმუნა მსოფლიოს ქვეყნები მათი ბირთვული მონოპოლიის უვადო შენარჩუნების აუცილებლობაში. ახლო მომავალში ბირთვული გამოცდის სრული აკრძალვის შეთანხმებაზე უნდა მოეწერათ ხელი, მაგრამ შემდეგ სიტუაცია შეიცვალა,- ჩინეთს არ შეუწყვეტია ბირთვული გამოცდები, საფრანგეთი კი ამ გამოცდის განახლებას ცდილობს. რუსი, ინგლისელი და ამერიკელი გენერლები ეთანხმებიან გამოცდის ჩატარების იდეას ქვეყნების უსაფრთხოების მიზნით. თუ გამოცდის აკრძალვის კომპანია უახლოეს დროში წარმატებით არ დაგვირგვინდა, უარყოფითად იმოქმედებს პაკისტანზე, ირანსა და ჩრდილოეთ კორეაზე, რომლებიც ცდილობენ ბირთვული იარაღის შეძენას. როგორც იტყობინებიან, შირაკი ხელმძღვანელობს მისი პოლიტიკური კერპის, შარლ დე გოლის იდეებით. დე გოლი ილვწოდა საფრანგეთის დამოუკიდებელი ბირთვული ძალების შექმნისათვის, მაგრამ ეს 60-იან წლებში იყო, როდესაც კოლონიური იმპერიის დაცემის შემდეგ საფრანგეთი ცდილობდა გავლენის სფეროების განმტკიცებას. დე გოლს სურდა, „ცივი ომის" პირობებში გარანტირებული ყოფილიყო საფრანგეთის დამოუკიდებელი პოზიცია — მხედველობაში ჰქონდა ქვეყნის ადგილმდებარეობა აშშ-სა და სსრკ-ს შორის.

ყოველ შემთხვევაში, 30 წლის წინანდელი პოლიტიკა დღეს გახსენებად არ ღირს, დამთავრდა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის. ბირთვული წინააღმდეგობა.

ბირთვული გამოცდის უარყოფით შირაკი სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნეს გამოავლენდა.

„ნიუ-იორკ თაიმსი"

# ნობელის პრემიის ლაურეატი მემუარებს წერს.

სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის, 76 წლის ნელსონ მანდელას გაკვირვება უნდა გენახათ, როდესაც გაიგო, თურმე მისი წიგნი, „გრძელი გზა თავისუფლებისაკენ", ლონდონში ბესტსელერად ქცეულიყო და ლიტერატურულ პრემიაზეც წარედგინათ. წიგნში ავტორი საპყრობილეში გატარებულ წლებს იგონებდა.

მანდელა უცნაური კაცია, როგორც თვითონ ამბობს, პირად ინტერესებზე მაღლა საქვეყნო საქმეს აყენებს, ამას წინათ ძუძუში ტექნოლოგიის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

იგი გამალებული წერს მეორე წიგნს, სადაც პრეზიდენტობის წლებს გაიხსენებს. მემუარები გამოქვეყნდება 1999 წ. პოსტის დატოვების შემდეგ. ღამღამობით ვწერ, დღისით მძინავსო, - თქვა აფრიკელმა.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი" №46

# 100 დოლარი - ფეხის ქირად

ამ ზაფხულს საფრანგეთის ოქროს სანაპიროებზე 27. ათასი რუსი ტურისტი ისვენებს. „ახალმა რუსებმა" ადრიანად დაიჯავშნეს ფეშენებელური ვილები და ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები. ხმელთაშუა ზღვაში კოპწია იახტებით უმეტესად რუსები სეირნობენ, მათთვის მშობლიურ ენაზე საგანგებოდ ჟურნალიც კი გამოიცემა.

კანელი და ნიცელი კომერსანტები დიდად კმაყოფილნი არიან ახალი კლიენტებით, რომლებიც მხოლოდ აბრეშუმის პერანგებს იცვამენ და მსხვილ კისრებს ოქროს ძეწკვებით იმკობენ.

ზღვაზე რუსები ამერიკელებზე ნაკლებნი არიან, სამაგიეროდ, მეტს ხარჯავენ. კარგა ხანია, რესტორანში ფეხის ქირად 100 დოლარი არავის დაუტოვებია, რუსები ტოვებენ, - გაოგნებულნი არიან რესტორნის მეპატრონენი, მაგრამ არც სიამეს ფარავენ.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი" №46

# რამდენი ებრაელია მსოფლიოში.

აშშ-ში 5,8 მლნ ებრაელი ცხოვრობს, თვით ისრაელში -4,4 მლნ-ზე მეტი, რუსეთსა და საფრანგეთში-600-600 ათასი, უკრაინაში — 446 ათასი, კანადაში — 360 ათასი, დიდ ბრიტანეთში მხოლოდ 300 ათასი ებრაელია. ებრაელთა დიდი სათვისტომოებია არგენტინის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის ქალაქებში. განსაკუთრებით ბევრი ცხოვრობს ნიუ-იორკში (1,45 მლნ), ლოს-ანჯელესში, ფილადელფიაში, ჩიკაგოსა და ბოსტონში, პარიზისა და ლონდონის შემდეგ ყველაზე მეტი ებრაელს (200 ათასი კაცი) მოსკოვში შეხვედრებით.

„ზარუბეჟომ" №28

# ისევ სერბია... ბოსნია..

მას შემდეგ, რაც ევროპარუსეთის მოლაპარაკება ხელმოწერილ იქნა, ანდრეი კოზირევი და ევროპის ქვეყნების 15 მინისტრი ბოსნიაში არსებული სიტუაციის შესახებ ბჭობდნენ. რუსეთის გარდა ყველა თანახმაა, გამოყენებულ იქნას ძალადობა. ამავე დროს, კონკრეტულად არავინ იცის, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ არ განმეორდეს სრებრენიცას ისტორია.

ლონდონში შეგროვდებიან დაინტერესებული ქვეყნების თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები. საფრანგეთი მკაცრად დაიცავს შირაკისეულ ხაზს, რომ ნებისმიერ სიტუაციაში დაკავებულ იქნას გორაჟდე და სარაევო, ინგლისელებს კი ამ საკითხზე სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ.

ფრანგი გენერალი სუბირუ, სწრაფი რეაგირების ბრიგადის უფროსი, აცხადებს, რომ ბრიგადა მზადაა ოპერაციისთვის, მაგრამ დღეს გორაჟდეში ფართომასშტაბიანი ოპერაციის ჩატარება შეუძლებელია, რადგან არასაკმარისია საავიაციო დასაყრდენი.

როგორც გაეროს სპეც. წარმომადგენელი იასუში აკაში აცხადებს, სერბიის არმიას შეუძლია ნებისმიერ მომენტში მოაწყოს შეტევა. ავიარეიდის შემთხვევაში სერბები დაპირდნენ ცეცხლი გაუხსნან 79 კაციან უკრაინის ქვეგანაყოფს, რომელიც განლაგებულია ჟეპეში.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 130



# ნორჩი ჰიტლერი

დალასში მცხოვრები სამი წლის ბიჭუნა (ფოტოზე), რომელიც გარეგნულად დიდად არაფრით გამოირჩევა თანატოლებისაგან, ერთი გენეტიკური თავისებურებით იქცევს საზოგადოების ყურადღებას. ეს გახლავთ ადოლფ ჰიტლერის ერთადერთი ოფიციალურად ცნობილი შთამომავალი. ბიჭი დაიბადა ფიურერის გაყინული სპერმით განაყოფიერების შედეგად. ბიჭუნას დედა, ფანატიკოსი ნაცისტი, იმედოვნებს, რომ მისი შვილი ყურს დაუგდებს „სისხლის ყივილს" და „დიდ არიულ რასას მსოფლიო ბატონობამდე მიიყვანს, რასაც ესწრაფვოდა მამამისი". ბიჭიც არ უცრუებს დედას იმედს: შარშან მან საშობაო საჩუქრად, არც მეტი, არც ნაკლები- პოლონეთი მოითხოვა!

„ნატვრისთვალი", № 78.

# აშშ-ის ახალი პოლიტიკა

ქლინთონის ადმინისტრაციის ახალი პოლიტიკა კუბელთა ემიგრაციის საკითხის გამო, ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა მაღალი დონის თანამშრომლობის ნაყოფია.

აშშ-მა გადაწყვიტა, მიიღოს გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზაში ნამსახური 21 ათასი კუბელი. ეს ფაქტი ორივე ქვეყნის მთავრობას მოუტანს სარგებლობას - ლტოლვილი კუბელები ამერიკას შარშანდელივით აღარ შეესევიან. კუბის ლიდერიც ნაამები დარჩება — ანტიკასტროელი 21 ათასი კუბელისგან გუანტანამოს ბაზის განთავისუფლებით, რაც დიდ საფრთხეს უქმნის კუბის უშიშროებას.

აშშ-ის ახალი „საემიგრაციო პოლიტიკა" ხელს შეუწყობს მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეთა და სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ნათესავების ურთიერთობას.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი"

# მიულერი საკანში ჩამოახრჩვეს?



СССР--ს 50-იან წლებში ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, 82 წლის როდოლფ ბარაკმა გერმანულ ყოველკვირეულ „ფოკუსს" ინტერვიუში სენსაციური ამბავი აუწყა: ჩეხოსლოვაკიის აგენტებმა კგბ-ს დავალებით 1956 წელს არგენტინაში მოიტაცეს გესტაპოს ლეგენდარული შეფი ჰაინრიხ მიულერი. არსებობდა ვერსია იმის შესახებ, რომ მიულერი ჯერ კიდევ 1945 წელს ბერლინის აღების დროს დაიღუპა. მიუხედავად ამისა, ბარაკი ამტკიცებს, რომ 1955 წელს მიულერი არგენტინის ქალაქ კორდობაში აღმოაჩინეს და მოიტაცეს ჩეხოსლოვაკიელმა აგენტებმა. აპრილში მიულერი კგბ-ს გადასცეს. თვით ბარაკს ხრუშჩოვთან სატელეფონო საუბრისას არაერთხელ უთხოვია მიულერის მათთვის დაბრუნება. ამ ხასიათის საუბრები 1959 წლამდე მიმდინარეობდა და ე. ი. მიულერი ამ დროისათვის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მოგვიანებით, ჩეხოსლოვაკიის სპეცსამსახურებმა გამოაცხადეს, მიულერი თითქოს გადაგზავნილია ვორკუტის ციხეში, სადაც ის დაახრჩვეს მასთან ერთად საკანში მსხდომმა გერმანელებმა.

საფრანგეთის „ნაცისტებზე მონადირე" სერჟ კლარსფელმა ბარაკის მონაყოლი აბსურდად ჩათვალა, ეს რომ სიმართლე იყოს, მისი აზრით, „კგბ" ასეთი ბრწყინვალე ოპერაციით მთელ მსოფლიოს თავს მოაწონებდა.

კომსომოლსკაია პრავდა" № 130

# თავდასხმა ალიევზე

ივლისის სიცხით გათანგულ ბაქოში სროლის ხმა გაისმა — მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით დაცხრილეს პრეზიდენტის კორტეჟი. დაიღუპა რამდენიმე მცველი. პრეზიდენტის უსაფრთხოების მიზნით, მის ნაცვლად მანქანაში სახელმწიფოს ნავთობის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი, ელხან ჰეიდარის ძე ალიევი იჯდა, რომელიც თავზარდაცემული სასწრაფოდ შინ მიაბრუნეს. ამბობენ, იმის შემდეგ ხალხში აღარც გამოჩენილაო.

აზერბაიჯანის ოფიციალურმა წრეებმა ეს ინფორმაცია არც უარყვეს და არც დაადასტურეს, ოღონდ, შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ პრეზიდენტმა ალიევმა ტელევიზიით რამდენადმე უცნაური განცხადება გააკეთა; „თუ მე მომკლავენ, დაე, იცოდნენ, რომ მე მყავს ვაჟი, რომელსაც აგრეთვე ვაჟი ეზრდება!"

როგორც საინფორმაციო მეთვალყურენი ამტკიცებენ, ამ განცხადებაში არის მინიშნება ქვეყნის ახალ კონსტიტუციაზე, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამუშავებს და რომელშიც გათვალისწინებულია აზერბაიჯანში ხელისუფლების მემკვიდრეობითობა. რაც შეეხება თავდასხმას, ამას ქვეყნის შეგნით კლანებს შორის ურთიერთობათა გამძაფრებას უკავშირებენ, კერძოდ, საქმე ეხება თავად პრეზიდენტსა და პარლამენტის სპიკერს — რასულ გულიევს. ალიევების გვარი გეგმაზომიერად იშორებს მეტოქეებს თავისი „სამემკვიდრო ულუფიდან" ნავთობპროდუქციების წარმოება — გასაღების სფეროდან.

„არგუმენტი ი ფაქტი" № 28

# უკან დასახევი გზა მოჭრილია

ამჟამად კუბაში ე.წ. განსაკუთრებული პერიოდის რეფორმები ტარდება. მსოფლიოში გაქრა სოციალისტური სისტემა. ამის გამო კუბამ დაკარგა საექსპორტო ბაზრის 70%. დავრჩით უკრედიტოდ, უფულოდ, უბაზროდ, ტექნოლოგიის გარეშე. ასე გაძლება შეუძლებელია. ამიტომ, საჭიროა ახალ საერთაშორისო რეალიებთან ადაპტირება. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ქვეყნის განვითარების საქმეში ცვლილებების შესატანად, თანაც ჩვენი იდეალები და მიზნები უნდა დავიცვათ. უკან დასახევი გზა მოჭრილია,-თქვა კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ.

„ზა რუბეჟომ" №28

# საუკუნის სენსაცია: ძმებმა ფოთსებმა გენიალური აღმოჩენა გააკეთეს

განშორება და განქორწინება. ბრიტანული სამეფო კარის ცხოვრების ეს განუყრელი ნაწილი მეორე გაუგებრობად მოგვევლინება ინგლისელი მეცნიერების, ძმების მალქოლმ და უილიამ ფოთსების აღმოჩენასთან შედარებით.

ფოთსებმა გამჟღავნეს და შეძრეს ინგლისელთათვის წმიდათაწმინდა — დედოფლის წარმომავლობა.

მეცნიერები სამეფო კარის სამედიცინო საზოგადოების გასული საუკუნის არქივებში იქექებოდნენ, როდესაც წააწყდნენ დოკუმენტებს, რომლებიც სრული შოკი გამოიწვია.

ყველასთვის ცნობილია, რომ დედოფალი ვიქტორია, რომელიც ქვეყნის მმართველი იყო 1837-1901 წლებში, ჰემოფილიით ინფიცირებული, უფრო ზუსტად, ატარებდა ამ გენს, სისხლის შედედების უუნარობა ძირითადად მამაკაცებს აღენიშნებოდათ.

ძნელია, წარმოიდგინო უფრო მკაცრი ქალი, ვიდრე დედოფალი ვიქტორია იყო. მას „ევროპის ბებიას" უწოდებდნენ. ჰყავდა ცხრა შვილი, 35 შვილიშვილი, მათ შორის რუსეთის, გერმანიის, ესპანეთის, საბერძნეთის მონარქებიც იყვნენ. მთელი ცხოვრების მანძილზე ვიქტორია თავის ... 1901 წელს, 64 წლის მეფობის შემდეგ, დედოფალი გარდაიცვალა. ... ამერიკელი მწერალი, წერდა: „ჩვენ ყველას ცოტათი შეგვეტყო უდედობა".

— არქივში მიკვლეული „საბუთები მოწმობს, რომ დედოფლის დედა, ვიქტორია მერი ლუიზა და საქს-ქობურგ-სალფელდი ვერ გადასცემდა შვილს ამ გენს, ამის თავდებია ინგლისელი მონარქის ცხრა თაობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოიპოვეს დაუღალავმა ძმებმა, მიხედვით ალბათ, მამაკაცებს ჰემოფილია არ აღენიშნებათ.

ფოთსებმა დაიწყეს გარდასული დღეთა ფაქტების ყველაფერი და შედეგად წარმოიშვა ორი ჰიპოთეზა: პირველი — გენი შეიძლება მუტაციის შედეგად წარმოიქმნა, რაც თითქმის გამორიცხულია (50 ათასში დასაშვებია ერთი შემთხვევა), მეორე და უფრო ალბათური — ვიქტორია უკანონო ქორწინების ნაყოფია.

გეორგ მესამის 15 ნაშიერიდან მხოლოდ უფროსს, გეორგ IV-ს ეყოლა ტახტის კანონიერი მემკვიდრე, მაგრამ, საუბედუროდ, მან მკვდარი ბავშვი გააჩინა და იძულებული შეიქნა, ტახტის ... მაშინ იმედის თვალი მიაპყრეს სამ ძმას: კლერენსის, ქენთსის და კემბრიჯის გრაფებს. ბრიტანეთის ისტორიაში საინტერესო მომენტი დაიწყო, იმ წლების ქრონიკა ამ პერიოდს „ოჯახური ომის ხანას" უწოდებდა — პირველ ახალშობილს მემკვიდრეობით გადაეცემოდა ბრიტანეთის იმპერიის გვირგვინი.

ამ ორთაბრძოლაში (ანუ სამთა ბრძოლაში) ყველა ცდილობდა სათავისო ლუკმის შოვნას, მათ შორის კურტიზანებიც. სწორედ ამ დროს ლეოპოლდ დე ქობურმა, გეორგ IV-ის დაქვრივებულმა მეუღლემ, მეფის ვაჟს, ქენთსის გრაფს, გააცნო თავისი ნათესავი ვიქტორია, რომელზედაც 50 წლის ედუარდმა მალე იქორწინა კიდეც.

თითქოს ედუარდი ქორწილის წინ ერთ ახლობელს ეჩურჩულებოდა: „იმედია, თავს გავართმევ ქმრის ვალდებულებასო," მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მაშინ ისევ ვერაგი ლეოპოლდი აქტიურობს, ვიქტორიას ახვედრებს სხვა ჯენტლმენებს... 1819 წლის 22 მაისს დაიბადა სწორედ ის ჩვენთვის საინტერესო ვიქტორია — უმცროსი, რომელიც შემდგომში ინგლისს დედოფლად მოევლინა და ის დაწყევლილი გენიც, მიიჩნევენ მკვლევარი ძმები, სავსებით ადვილი შესაძლებელია, სწორედ დედამისის ქორწინებაგარეშე კავშირის შედეგია.

ამაზე პასუხის გასაცემად არსებობს ერთ-ერთი გზა — ვიქტორიას ორგანიზმის ქსოვილისა და მისი წინაპრების (მამის მხრიდან) დნმ-ს შემოწმება. „დედოფალი ვიქტორია ამოვთხაროთო" — ითხოვს სამეფო კარის სკეპტიკოსი წარმომადგენელი. ბევრი არ ეთანხმება და ამ საკითხის გასარკვევად აუცილებლად მიიჩნევს ქენთისის ჰერცოგის და ვიქტორიას თმებზე ანალიზის ჩატარებას.

ასე და ამგვარად, საკმაოდ პიკანტური სიტუაციაა... თუ მტკიცდება ჰიპოთეზა, რომ დედოფალი ვიქტორია უკანონო შვილია, მაშინ მას ინგლისის ტახტის ფლობის არანაირი უფლება არა აქვს, სამეფო გვირგვინი ამ შემთხვევაში უნდა გადაეცეს გრაფ ქემბერლენდს, რომელმაც სახელი გაითქვა ქალებისადმი საძაგელი დამოკიდებულებით. დღეს ცოცხალია მისი პირდაპირი შთამომავალი ერნესტ ოგიუსთ ჰენოვერი, რომელიც, თუ ზემოთ ნათქვამი დადასტურდება, ინგლისის ტახტზე უნდა ავიდეს.

„ნიუზ უიქი", ივლისი






# მსოფლიოს მთავარი მაძებარი

იმპერიალის გენერალური მდივანი რაიმონდ კენდალი ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო ასოციაციის მოწვევით მოკლევადიანი ვიზიტით ეწვია რუსეთსა და საქართველოს, რა თქმა უნდა — ინკოგნიტოდ.

მსოფლიოს მთავარმა მაძებარმა ჟურნალისტის კითხვებს, შეიძლება ითქვას, გულახდილი პასუხები გასცა.

— **რატომ ჩამოხვედით დაცვის გარეშე?**

— რუსეთში ამ ბოლო დროს ბევრს ისვრიან, მოსკოვში მაინც მომიჩინეს დაცვა. ორი კაცი დამყვებოდა, არ არის საჭირო მრავალრიცხოვანი ამალა, თუ მოკვლა უნდათ, ისეც მოახერხებენ.

— **გქონიათ თავდასხმის შემთხვევა?**

— რადგან თვლიან, რომ მე მთელ პოლიციურ სამყაროს განვასახიერებ, ბევრს მემუქრებიან. ერთხელ ინტერპოლის შტაბში ყუმბარა ააფეთქეს, ფრანგებმა ჩემი სახლი დაცხრილეს, ეს მარტივი ნათქვამია, ქვა ქვაზე არ დატოვეს, მაგრამ ჩვენ ჩვენებური დაცვა გვაქვს, ადვილად გადავრჩით. ტერორიზმი საშინელი სენია.

— **ინტერპოლს სნგ-ს ქვეყნებმა პრობლემები გაუჩინა? დღეს 5 ათასამდე ორგანიზებული ბანდა „მოღვაწეობს" მის ტერიტორიაზე და მათში 3 მილიონი ბანდიტია გაერთიანებული.**

— 1989 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი ინტერპოლის წევრი გახდა, ჩვენ უცბად ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. თქვენს დამნაშავეთა სამყაროს სრულიად არ ვიცნობდით, გაუგონარი და გამოუცნობი იყო ჩვენთვის თქვენი მოქმედება, თქვენი მაფია სულ სხვაგვარად იქცეოდა, ყველაზე დიდი სპეციალისტებიც კი გაოგნებულნი რჩებოდნენ.

— **ხომ არსებობს სხვა ქვეყნის მაფიაც, რალა რუსულია საფრთხობელას როლში?**

— იტალიური მაფია პირდაპირ ძალადობით არ იწყებს, მის არსენალში სხვა საშუალებებიც არის, ძალადობას მიმართავენ. რუსები მოლაპარაკების დაწყებამდე ისვრიან.

— **ინტერპოლის თვალთახედვაში თუ არის სისასტიკით გამორჩეული სხვა ეროვნების დაჯგუფება?**

— ჩინური, იაპონიის დასახელებაც შეიძლება, აშშ-ის დასავლეთ სანაპიროს რამდენიმე ჯგუფი, მაგრამ თქვენები...

172 ქვეყანა მუშაობს ჩვენს სისტემაში დამნაშავეობის წინააღმდეგ, დღეს „ხუფქვეშ" გვყავს მსოფლიოში 200 ათასამდე ყველაზე საშიში დამნაშავე, ძირითადად ტერორიზმში, ნარკობიზნესის სამყაროში განვრთნილი ბანდიტი. ყოველწლიურად ათასიდან 2,5 ათასამდე დამნაშავეს უვნებელვყოფთ. არ ვტრაბახობთ, ზედმეტ ხმაურს არ ვტეხთ.

— **ცოტა ხნის წინ დაზვერვის ფედერალურმა ბიურომ ნიუ-იორკში დააკავა „ნათლიმამა" იაპონეცი, კანონიერი ქურდი ივანკოვი, ის რუსეთში ცოცხალი ლეგენდაა, თქვენი ხელი ერია ამ საქმეში?**

— რუსეთიდან გამოფრენის წუთიდანვე თვალი არ მოგვიშორებია, მისი თითოეული ნაბიჯი ვიცოდით... ვერ დაუძვრა ჩვენს ობობას ქსელს.

— **დამნაშავეობის რომელი სახეა ყველაზე დამღუპველი და საშიში?**

— ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა.

— **თანხას ხომ ვერ დაასახელებდით?**

— 400 მილიარდი დოლარი წელიწადში, ვიმეორებ, მილიარდი და არა — მილიონი.

— **რუსეთი შეიძლება გადაიქცეს მსოფლიოში ყველაზე დიდ ნარკობიზნესის გადასაზიდ ბაზად... ჩვენ გვეშინია...**

— ნუ გეშინიათ, თქვენ უკვე გადაიქეცით ასეთ ბაზად. ისიც იცოდეთ, გადაზიდვით არ დამთავრდება საქმე, ასე ხდება სხვაგანაც, თქვენი ქვეყანა მომხმარე-ბლადაც გადაიქცევა, ნაწილი ნარკოტიკებისა თქვენს ტერიტორიაზეც მოიხმარება.

— **რომ მოგეცეთ არჩევანის საშუალება, ვის აირჩევდით — შერლოკ ჰოლმსს, პუაროს თუ მეგრეს?**

— სამივეს ერთად და თუ მაინცდამაინც ერთს — მაშინ, შერლოკ ჰოლმსს. იგი კრიმინალური მეცნიერების ხორცშესხმა იყო.

— **რომელ იარაღს ამჯობინებთ?**

— ძველებურს დიდი კოლექცია მაქვს, 100-მდე ნაგანი. თქვენმა მინისტრმა ბაკატინმაც მაჩუქა დუელის პისტოლეტის წყვილი, საკუთარი უსაფრთხოებისათვის პატარა რევოლვერს ვინახავ... მაგიდის უჯრაში.

— **ბევრი ადამიანი გელუპებათ?**

— ასეთი ტრაგიკული მარცხის მიზეზი ისევ თქვენი დამნაშავეების გაუგონარი სითავხედეა, რა გამოსავალს ვხედავთ? ყველა უნდა მოაშთო, ამოსუნ-თქვის საშუალება არ უნდა მისცე, სისასტიკეა? არა, ნორმალურია, ისე ხომ თვითონ გადაგვივლიან?!

P.S. რაიმონდ კენდალი — 62 წლისაა. ინგლისის მოქალაქე. პროფე-სიონალი პოლიციელი, ოქსფორდის უნივერსიტეტის წარჩინებით დამ-თავრების შემდეგ მუშაობს სკოტლანდ-იარდში, ტერორიზმთან ბრძოლისათვის საგანგებო ბრძოლის განყოფილებაში 1971 წლიდან არის ინტერპოლში. 1985 წელს აირჩიეს გენერალურ მდივნად — საერთაშორისო სამძებრო პოლიციის უმაღლეს თანამდებობაზე, 1990 წელს ხელმეორედ დატოვეს პოსტზე. წელს, შემოდგომაზე მის კანდიდატურას კვლავ უყრიან კენჭს, ცოლიანია ჰყავს სამი შვილი. უმცროსი, ფრედერიკი მამის კვალს გაჰყვა.

„სობესედნიკი" № 27

## იაპონჩიკი — „ჩარა" გაძარცვეს, ციხეში მათ მაგივრად ვზივარ

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ ნიუ-იორკში დააპატიმრეს რუსული მაფიის „ნათლიმამა" ვიაჩესლავ ივანკოვი (იაპონჩიკი) და სნგ-ს ხუთი ყოფილი მოქალაქე. მათ ბრალად ედებათ რუს-ამერიკელი ბიზნესმენების — ვოლკოვისა და ვოლოშინისთვის 3,5 მილიონი ამერიკული დოლარის წაგლეჯვა. ბანკ „ჩარას" თანამეპატრონემ, რუსტამ სადიკოვმა განაცხადა, რომ ეს ფული „ჩარას" ეკუთვნოდა. ბრუკლინის საძიებო იზოლატორიდან ვ. ივანკოვმა „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტს აცნობა: „სრულიად უდანაშაულო ვარ, ამ საქმესთან არანაირი კავშირი არა მაქვს. ნიუ-იორკში ჩამოვიდა ჩემი ამხანაგის შვილი. მის სანახავად სასტუმროში წავედი. მას თან ახლდა სადიკოვი, რომელმაც მიამბო, რაც მოუვიდა „ჩარას". მივხვდი, ვოლკოვ-ვოლოშინი დამნაშავენი იყვნენ. ჩვენ ახლა ციხეში მათ მაგივრად ვსხედვართ. პატიმართა დაცვის კომიტეტი შევქმენი და ეკლესიასაც ვთხოვე დახმარება. ათასობით კაცმა იცის, რომ უაღრესად წესიერი და პატიოსანი ადამიანი ვარ, ყოველთვის ვებრძოდი კომუნისტებს, მთელი ჩემი ოჯახი რეპრესირებული იყო. შეწყალებაზე უარი ვთქვი — არ მჭირდება ბანდიტების შეწყალება-მეთქი. ბანდიტები რომ არიან, ფაქტია. აბა დაუკვირდით, მილიციის დიდ მოხელეებს ან კლავდნენ, ან თავს აკვლევინებდნენ, რომ ჩუმად ყოფილიყვნენ — ეგოვი, იაგოდა, ბერია, შჩოლოკოვი, პუგო... რომელი ერთი ჩამოვთვალო, ახლა ერინიც მოიშორეს... თვითონ არიან პირველი რეკეტიორები, ბანკებს ყადაღას ადებენ. იმასაც მაბრალებენ, სოლონიკი მაგან გააქციაო. სისულელეა. არ ვიცი, სოლონიკი ვინ არის?! მილიციის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ბანდიტი გახდა. მათი მითითებით ბევრი ხალხი დახოცა, ახლა თვითონვე მოეხმარნენ გაქცევაში. „მატროსკაია ტიშინადან" ისე ვერ გაიქცევი, ამსურდია. კიდევ ერთი მიზეზიც არსებობს, რატომაც უნდათ ციხეში ჩამაგდონ. დავპირდი, ყველაფერს დავწერ, თქვენს ბოროტმოქმედებას გამოვაამჟღავნებ-მეთქი. კონტრაქტი დადებული მაქვს, წერაც დავიწყე. ამერიკაში ჩემი გასამართლება დიდ მოხელეებს საშუალებას აძლევს წარამარა უფასოდ ისეირნონ შტატებში.

ჩემს საქმეს პოლიტიკური მიზეზიც აქვს. მალე საარჩევნო კამპანია იწყება და ყოველნაირად ცდილობენ, წესიერი კანდიდატები თავიდან მოიშორონ. კანდიდატებს შორის არის რუსეთში ძალიან საყვარელი, ნათელი პიროვნება სვიატოსლავ ფიოდოროვი. როცა ციმბირის ციხეში ვიჯექი, ჩემმა ნათესავებმა ფიოდოროვს დახმარება სთხოვეს, რადგან შეთითხნილი საქმის გამო დამიჭირეს. დამეხმარა და სამი წლით ადრე გამათავისუფლეს. ახლა ჩემთან ნაცნობობას მარად სდებენ, რომ ჩირქი მოსცხონ. სახრჩობელაზეც რომ ამიყვანონ, მაინც ვიტყვი — სუფთა ვარ, მაინც ვიცოცხლებ. არავის მივცემ ნებას, შემახრჩონონ. თუმცა, მორიგი იარა სულს მაინც დააჩნდება. მაგრამ არაფერია. ღმერთი მას არგუნებს ტანჯვას, ვინც უყვარს.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი" № 27

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერმოდელიორობა რთული საქმეა



სინდი კროუფორდი

ალბათ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ლამაზ, ტანად ქალს სურს მოდელი გახდეს და ბევრი ფული იშოვნოს. თუ 80-იანი წლების დამდეგს ცნობილი მოდელი ჩერილ თიგსი დღეში მხოლოდ 1000 დოლარს იღებდა. რამდენიმე წელიწადში ეს ციფრი მრავალჯერ გაიზარდა. „10 000 დოლარზე ნაკლებად დილით ლოგინიდანაც კი არ წამოვდგები," — კანადელი ქალიშვილის ლინდა ევენგელისტას ეს გამონათქვამი ათასობით ქალიშვილს უმღვრევს გულს და გონებას, მაგრამ მარტო სილამაზე ძალზე ცოტაა კარიერის გასაკეთებლად. რადგან მოდელები არ იბადებიან, მოდელებს ქმნიან. ლამაზ გოგონებს მთელ მსოფლიოში ეძებენ ეგრეთ წოდებული სკაუტერები, მაგრამ მოდელებთან მუშაობაში მთავარი როლი მაინც ბეკერებს ეკუთვნით, რომლებიც მათთან დებენ კონტრაქტს. ბეკერები მოდელებს შემდეგნაირად ახარისხებენ: კომერციული მოდელები მუშაობენ კატალოგებისთვის, საგაზეთო რეკლამებისთვის, პატარა ტელესიუჟეტებისთვის, დღეში 5 ათას დოლარს ღებულობენ და უფლება არა აქვთ ძალიან თვალშისაცემად გამოიყურებოდნენ. სპეცბეკინგის მოდელი მთელ მსოფლიოში 60-მდე გოგონაა. მათი გარკვეული სიდიდის Look — აქვთ და ყველაზე მსხვილ სააგენტოებს ემსახურებიან — საშუალო სიდიდის ჰონორარით. სუპერვარსკვლავები Very Special Booking — კლასის მოდელებია, ისინი მხოლოდ ექსკლუზურ კონტრაქტებს სდებენ კოსმეტიკურ კონცერნებთან და ცნობილი მოდელიორების ტანსაცმელს აჩვენებენ. მეორე რანგის მოდელები წელიწადში 400 ათასიდან 1 მილიონ დოლარამდე ღებულობენ. ამ ორი წამყვანი კატეგორიის გარდა არის კიდევ ეგრეთ წოდებული Part Models, რომლებსაც კონტრაქტს უდებენ იმის გამო, რომ სხეულის რომელიმე ნაწილი აქვთ მომხიბლავი, მათ პროდუქციის რეკლამისთვის იყენებენ. ვთქვათ, ვინმე იცნობს ფრანგ მაგლი მიენს, რომელსაც არაჩვეულებრივი სილამაზის ჭიპი აქვს და უამრავ პროდუქციას ამშვენებს? მათ სახეზე ვერ სცნობენ, სამაგიეროდ, ჭიპს ხშირად ხედავენ.



ოდესღაც გოგონები მშვენიერ პრინცზე ოცნებობდნენ, რომელიც მათ ქოხიდან ზღაპრულ კოშკში წაიყვანდა. ახლა ოცნების ობიექტი შეიცვალა. 29 წლის ინგლისელი ელიზაბეთ ჰორლი თავისი კაბის წყალობით ერთ საღამოში გახდა სუპერვარსკვლავი. მაინც რა კაბა იყო ასეთი? ელიზაბეთს



ელიზაბეთ ჰორლი

ქსოვილის რამდენიმე ნაჭერი ერთმანეთთან ინგლისური ქინძისთავით ჰქონდა დამაგრებული, ამ კაბამ, ჰორლი, ლონდონელი ჟურნალისტების თქმით, „ბრიტანული კულტურის ცენტრალური ფიგურა გახადა, რომელსაც ისევე ხშირად იღებენ, როგორც პრინცესა დაიანას."

სამოდელო ბიზნესის ჩრდილოვანი მხარეა გამუდმებული სტრესი, ფოტოგრაფების, ბეკერების, სტილისტების მხრიდან გაუთავებელი ლოგინის შეთავაზება და მაინც ყველაზე საშიშია — მაცდუნებელი სიმშვიდე, რომლის მოტანა თითქოს შეუძლია ნარკოტიკს.

თოფ-მოდელს მარტო დიდი ფულის შოვნა კი არა, მისი სწორად განაწილებაც უნდა შეეძლოს. ამ მხრივ, პირველ ნომრად ითვლება სინდი ქროუფორდი, რომელსაც საქმიანობა. კაპიტალს უათკაცებს. ჯერ კიდევ ოცი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რომელიმე მსხვილი კონცერნის პროდუქციას შავკანიანი გაუწევდა რეკლამას. ახლა კი ლონდონელი სუპერ-მოდელის, ნაომი კემპბელის შემოსავალი წელიწადში 2,1 მილიონ დოლარს აღემატება. არც მსოფლიო თოფ-მოდელის სიაში მეორე ადგილზე მყოფი კლაუდია შიფერი ჩამორჩება მათ. საქმიანობით, მისი ქონება 5,3 მილიონი დოლარია.

თოფ-მოდელები არა მარტო ულამაზესი და უპოპულარესი მანდილოსნები არიან, ისინი ეროვნულ სიმბოლოდაც კი იქცევიან ხოლმე. ამ პროცესს ხშირად კონფლიქტური სიტუაცია სდევს, მაგალითად, 1993 წლის მაის-ივნისში 23 წლის მოდელმა გპათა თურქმა გაბედა სურათი გადაეღო მისს ისრაელთან — 18 წლის თამარა პორატთან. ბეირუთში დაბრუნებისთანავე საწყალი გოგონა დააპატიმრეს და „მტერთან კოლაბორაციონიზმი" დააბრალეს, კიდევ კარგი, პატრონი გამოუჩნდა, თორემ 15 წლიანი ციხე არ ასცდებოდა.

„კომერსანტ დეილი" № 131

# ვალერია მაზა



— ახალი მოდელი. 1974 წლის 17 თებერვალს დაიბადა არგენტინაში, ქალაქ როხარიოში. „მე მხოლოდ 21 წლისა ვარ, მაგრამ 17-18 წლის გოგონებს ბიზნესისთვის ბებერი ვგონივარ, — ამბობს მაზა.

მოდელიორობამდე მაზა ფსიქოთერაპევტობაზე ოცნებობდა. ბუენოს-აირესში შემთხვევით გადაეყარა პარიკმახერს, რომელმაც მოდელიორობა ურჩია. „მეც ვცადე და ძალიან მომეწონა, — ამბობს ვალერია, — 10-15 წლის შემდეგ კი შეიძლება კვლავ ფსიქოთერაპევტობა მოვინდომო."

ვალერია თვლის, რომ ძალზე ჰგავს კლაუდია შიფერს. არგენტინის საზღვრებს გარეთ, განსაკუთრებით ევროპაში, ფიქრობენ, რომ მე კლაუდია ვარ. ვსეირნობ ქუჩებში და მესმის — „აი, კლაუდია", — უთხრა „კოსმოპოლიტენის" კორესპონდენტს მომხიბვლელმა მოდელმა.

ამჟამად მაზა ნიუ-იორკში ცხოვრებს თავის არგენტინელ მეგობარ გოგონასთან ერთად, მაგრამ იშვიათად უხდება ნიუ-იორკის აპარტამენტებით ტკბობა, ხშირად მოგზაურობს — პარიზი, სიცილია, კალიფორნია...

ვალერიას 10-15 წლით უფროსი ბოიფრენდ-ი ჰყავს, ისიც ბუენოს-აირესელია და გვერდიდან არ სცილდება სატრფოს, „იგი არ ჰგავს არგენტინელ მამაკაცებს, დღენიადაგ ჩემს წარმატებებზე ზრუნავს და ექსტრემალურ ვითარებაში მუდამ ჩემთანაა. გარდა ამისა, იგი ყველას უყვარს." — სიყვარულით აღნიშნავს ვალერია.

„კოსმოპოლიტენი". ივლისი

# პირველი გოგონა 180 წლის მანძილზე

გრეის ოჯახის ტრადიცია დაირღვა — დაიბადა გოგონა. 1815 წლიდან გრეის ოჯახის დედები მხოლოდ ვაჟებს შობდნენ.

გრეიების უკანასკნელი შთამომავალი გოგონა ცხოვრობდა გეორგ III (ბრიტანეთი) მეფობის დროს. პრემიერ-მინისტრად მაშინ ლორდ ლივერპული იყო. იმ დროს, ვინ იფიქრებდა, რომ ქალები ხმის უფლებას მიიღებდნენ, ქვეყნის ლიდერად ქალი ხომ ზღაპრად მოეჩვენებოდათ, თუნდაც ისეთი არაჩვეულებრივი ყოფილიყო, როგორიც მარგარეთ თეთჩერია.

მამა გრეი უსაზღვროდ ბედნიერია. „ნატალი ჩვენი პატარა პრინცესაა" — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

„თაიმსი" ლონდონი

# პოდმოსკოვიეში ერთი მანქანა ნახევარ წელიწადს სიკვდილს ასხივებდა.

როგორც უკვე გაუწყეთ (კვირის პალიტრა № 4), გეოეკოცენტრის თანამშრომლებმა პოდმოსკოვიეში ქალაქის ტერიტორიის რიგითი შემოწმების დროს რადიაციის მძლავრ წყაროს მიაგნეს. მომაკვდინებელი სხივი სატვირთო ავტომანქანის გარშემო ტრიალებდა.

გეოეკოცენტრის მუშაკებმა პირის გაღებაც ვერ მოასწრეს, ისე მოსწყდა ადგილიდან მანქანა, მაგრამ მისი ნომრების ჩაწერა მოასწრეს. გამოცხადდა ძებნა და მალე მანქანა და მძღოლი დაატუსაღეს. კაბინის დათვალიერებისა და შემოწმების შემდეგ მანქანის კარებზე მიაგნეს გამოსხივების წყაროს — სიგარეტის ფილტრისოდენა კაფსულას, მისგან რამდენიმე სანტიმეტრის მანძილზე, მძღოლის ადგილზე, რადიაციული ფონი საათში ხუთ რენტგენს უდრიდა. რაც დასაშვებ ნორმაზე ხუთ მილიონჯერ მეტია.

ქალაქისა და ოლქის ოპერატიული სამსახური ფეხზე დადგა. საჭირო იყო იმ პირთა გამოვლენა, ვინც ამ ბოლო დროს იჯდა მანქანაში, უნდა მიეგნოთ იმ ადგილისათვის, საიდანაც მძღოლმა აიღო კაფსულა. 41 წლის მძღოლი იმ დღესვე მოათავსეს საავადმყოფოში დიაგონოზი ასეთია — მკვეთრად გამოხატული სხივური დაავადება.

ბედის დაცინვა თუ იყო, რომ სწორედ ამ ბოლო დროს მძღოლი მანქანის ტარებაში ავარჯიშებდა თავის 17 წლის ვაჟს და ისიც პრაქტიკულად მთელი თვე იჯდა ამ მომაკვდინებელ კაბინაში. არც მისი ჯანმრთელობაა საიმედო — იგივე სიმპტომები აღმოაჩნდა მასაც — ექიმებს მამა-შვილის მდგომარეობა თითქმის უიმედოდ მიაჩნიათ.

მიმდინარეობს ძიება, ერთადერთი, რასაც მიაკვლიეს, არის ის, რომ კაფსულა დამზადებულია გაერთიანება „იზოტოპში".

მარტო იმის გაფიქრებაც კი, რამდენმა ადამიანმა გაიარა ამ მანქანის ახლოს, რამდენმა მგზავრმა მიიღო დასხივება ბოლო ექვსი თვის მანძილზე (სწორედ ამ დროს ასახელებს მძღოლი), აღშფოთებს ინვევს პოდმოსკოვიეს მცხოვრებლებში და საავადმყოფოებიც მზად არიან, უფასო გამოკვლევისათვის. სიცოცხლისათვის საშიში მანქანის ნომერია: ЗИЛ-130, სახელმწიფო № 05-77

„მოსკოვსკი კომსომოლეცი" № 132

# მერიასთან არსებული საბავშვო ბაღი ქალაქის მოხელეებს მოამზადებს

სახელმწიფო სტრუქტურებში გამოცდილი მოხელეების დეფიციტის გამო მოსკოვის მთავრობამ გადაწყვიტა მომავალი ხელმძღვანელების აღზრდა საბავშვო ბაღიდან დაიწყოს. იური ლუჟკოვმა ხელი მოაწერა დადგენილებას, მოსკოვის ხელისუფლებასთან არსებული ექსპერიმენტული ახალი ტიპის სკოლის შექმნის შესახებ. სკოლა დაექვემდებარება ქალაქის ძალაუფლებას. სკოლის დირექტორის ამოცანაა, მმართველობის აპარატისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. სწავლების ხანგრძლივობა 17 წელია. პირველი წელი საბავშვო ბაღის მოსამზადებელი პერიოდია; 9 წელიწადი — საგანმანათლებლო სწავლება, რომელიც ყმაწვილს მისცემს არასრულ საშუალო განათლებას; შემდეგ 2 წელს დაჰყოფს ლიცეუმში და 3 წელს კადრების მმართველობის კოლეჯში, არასრული უმაღლესი განათლების მისაღებად. უმაღლესი განათლების დიპლომს მიიღებს კიდევ 2 წლის საკადრო მმართველობის უმაღლეს სკოლაში განსწავლის შემდეგ.

ამ სასწავლო დაწესებულებაში მოხვედრა შეუძლია ყველა 6 წლის ბავშვს, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილისა. ბავშვების არჩევა იწარმოებს სამედიცინო-პედაგოგიური კომისიის კომპლექსური ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

„მოსკოვსკი კომსომოლეცი" № 130

# რას კითხულობდნენ პრეზიდენტები?

აშშ-ში გამოვიდა გამოკვლევა: „რას კითხულობდნენ ამერიკელი პოლიტიკოსები ბავშვობაში?"

თურმე, თეოდორ რუზველტს ანტიკური ლიტერატურა იტაცებდა, ფრანკლინ რუზველტს — ავანგარდული და კიპლინგი, დუაით ეიზენჰაუერს — ჰომეროსი და თუკიდიდე, ჰარი ტრუმენს — „რომის იმპერიის დაცემა" და მარკ ტვენი მოსწონდა. ჰარი ჰარტს — „ანა კარენინა", ბილ ქლინთონი, რომელსაც პრეზიდენტობა ჯერ კიდევ სკოლის წლებში ჰქონდა გულში ამოჭრილი, საყვარელ წიგნად თვლიდა ახალგაზრდა ჯონ კენედის „გმირთა პორტრეტებს".

„მოსკოვსკი კომსომოლეცი" № 46

# ამერიკელი ასტრონავტის სკანდალური განცხადება

ამერიკელმა ასტრონავტმა ნორმან ტაგარდმა სკანდალური რადიო-ინტერვიუ გააკეთა. დაიწყო კოსმოსში ამერიკა-რუსეთის ერთობლივი გაფრენა. შენდება საერთო კოსმოსური სახლი და კოსმონავტებს წინ ხანგრძლივი და რთული გაფრენები ელოდებათ. ამდენად, ნორმან ტაგარდის განცხადება, რომ სადგურ „მირზე" საშინელი რაციონია, ვახშმად არ მოართვეს შემწვარი ინდაური, ვერ ნახა ჰოლივუდის უკანასკნელი ფილმი, ყოველდღე ვერ მიიღო შხაპი, აკლდა დედამიწიდან ყოველგვარი ინფორმაცია, სპეციალისტებმა ძალიან მტკივნეულად მიიღეს. საყვედური განსაკუთრებით ახლოს მიიტანა გულთან ბირიულევსკის ქარხანამ, სადაც მუშავდება კოსმონავტებისათვის უმაღლესი ხარისხის საკვები. გათვლილია მიკროკლიმატიც და ფსიქოლოგთა ჯგუფი სისტემატურად ადევნებს თვალყურს თითოეული კოსმონავტის გუნება-განწყობილებას.

კოსმოსში მუშაობა უხდებათ ექსტრემალურ პირობებში. სამამულო კოსმონავტიკას დიდი ინტერნაციონალური გამოცდილება აქვს. ტაგარდის სკანდალური ინტერვიუ მხოლოდ ურთიერთუნდობლობას დასთესს და სიკეთეს არ მოუტანს მომავალ ეკიპაჟებს.

რუსმა სპეციალისტებმა ამერიკელი ასტრონავტის განცხადება უემოციოდ შეისწავლეს, ყურადღება მიაქციეს მხოლოდ არსს და დაადგინეს, თუ კი ამერიკელები შესძლებენ თანამედროვე კოსმოსური შხაპის გამოგონებას, მომავალ ერთობლივ ეკიპაჟებში იქ რუსი კოსმონავტებიც იბანავებენ.

პარტნიორობა სრულ ურთიერთგაგებაზე უნდა იყოს დამყარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სუპერპროექტი „ალფა" შეიძლება ბაბილონის გოდოლად გადაიქცეს.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 12

# გაიხსნა ხიდი „ზღვიდან ცამდე"

ინჟინრებმა შოტლანდიური ბალადა გააცოცხლეს, — გაიხსნა 80 ტონიანი, 570 მეტრი სიგრძის ხიდი „ზღვიდან ცამდე". იგი 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი (48 მილიონიდოლარი) დაჯდა და აერთებს დასავლეთის კუნძულსა და შოტლანდიურ მატერიკს. კუნძულის მოსახლეობას არ მოსწონს ხიდი, რადგან იძულებულია, გადაიხადოს ბაჟი — 5 გირვანქა სტერლინგი.

„ჰერალდ თრიბუნი"

## თურქული ფირმის „მელასაშის" ჭურჭელი ჯანმრთელობისთვის მავნებელია

გაერთიანება „როსტესტ-მოსკოვის" სპეციალისტების მოთხოვნით, დედაქალაქში აკრძალა იმპორტული ჭურჭლის გაყიდვა, რომელიც გენურ მუტაციას იწვევს. სერთიფიკატები ვერ მიიღეს ფირმა „მელასაშის" სასადილო ჭურჭელმა და იტალიური ფირმის „Artsana chicco"-ს თეფშებმა. ამ ჭურჭლის მიერ გამოყოფილი საშიში ნივთიერება ფორმალდეჰიდი ნორმას 4-5-ჯერ აჭარბებს. მედიკოსთა მონაცემებით ფორმალდეჰიდი საშინელ ალერგიასა და გენების გადაგვარებას იწვევს, რაც შემდგომ თაობის ჯანმრთელობაზეც მოქმედებს. სპეციალისტები მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ ამ ჭურჭელში არა მარტო საკვების შენახვა, ჭამაც ძალიან საშიშია.

„მოსკოვსკი კომსომოლეცი" № 131

## სიცხე და გული

მკითხველს უპასუხებს ჩიჩბაბეეს საავადმყოფოს მთავარი ექიმი რაინერ ბრენკე.

**სიცხეში რატომ ვითენთებით?**

სიცხეში სისხლძარღვები ფართოვდება და წნევა ეცემა, ამ დროს გულს სისხლის მიმოქცევის დონის შესანარჩუნებლად უფრო დაძაბული მუშაობა უხდება. ეს იწვევს ორგანიზმის დამატებით დატვირთვას, იგი იღლება და ითენთება.

**ამინდის მკვეთრმა ცვლილებამ შეიძლება ინფარქტი გამოიწვიოს?**

რასაკვირველია. დაზიანებული სისხლძარღვები სისხლის კოლტით (თრომბით) იცობა, რაც იწვევს ინფარქტს.

**ცხელ ამინდში ცუდად რატომ გვძინავს?**

ცოცხალი ორგანიზმი გენეტიკურად მიჩვეულია, რომ ღამით გაცილებით გრილა, ვიდრე დღისით. ცხელ, დახუთულ ღამეში ორგანიზმს უჭირს გარდაქმნა და ამიტომ სიფხიზლეს განაგრძობს.

**შეიძლება ამინდმა დაგასნეულოს?**

ამინდი არ ასნეულებს, მაგრამ სერიოზული დარღვევების სათავე კი შეიძლება გახდეს, ამის მიზეზი თვით ორგანიზმია.

**რა ტიპიური დაავადებანი შეიძლება გამოიწვიოს უამინდობამ?**

პირველყოვლისა, სისხლძარღვთა მუშაობის დარღვევა, არტერიული წნევის ცვლილებანი, თავის ტკივილი, რევმატიზმი, თრომბოზი, ასთმა, ინფექციური სნეულებები.

**გაზაფხულზე თავს მოქანცულად რატომ ვგრძნობ?**

ზამთარში ორგანიზმი არც ისე აქტიურია, გაზაფხულზე მზის მეტ გავლენას განიცდის, სინათლის, ტემპერატურის განსხვავებანი (დამით 15-ით იცვლება) ორგანიზმს ძაბავს, ადამიანი იღლება.

ამ უსიამოვნებებისაგან თავის დასაღწევად საჭიროა მუდმივი ვარჯიში, სხეულის გამოწრთობა.

„ზა რუბეჟომ" № 28

## იცით წამლის დალევის წესი?

დავიწყოთ იმით, რომ წამალს აწერია მიღების დრო და აუცილებლად მაშინ უნდა უნდა დალიოთ და არა მაშინ, როცა გაგახსენდებათ. უნდა გვახსოვდეს არა მარტო ის დრო, რომელიც გაივლის მიღების მომენტიდან წამლის მოქმედების დაწყებამდე, არამედ მისი მოქმედების ხანგრძლივობა. ხშირ შემთხვევაში ეს დამოკიდებულია ბუნებრივ ბიოლოგიურ რითმებზე, რომლებსაც ემორჩილება ადამიანის ორგანიზმი.

მაგალითად, სიცხე და არტერიული წნევა დღელამის განმავლობაში შეიძლება ხშირად შეიცვალოს. წნევიანებს წნევის აწევა უფრო ხშირად 9-დან 15 საათამდე აწუხებთ. აქედან გამომდინარე, მათ სჭირდებათ წამალი, რომელიც მდგომარეობას სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში შეუმსუბუქებს. თუ წამალს დღელამეში მხოლოდ ერთხელ მიიღებთ, სჯობს, ეს დილით გააკეთოთ. ეს ეხება აღმგზნებ ნივთიერებათა შემცველ პრეპარატებს (ვთქვათ, კოფეინი, ვიტამინი ც.) მათმა ხმარებამ დღის მეორე ნახევარში შეიძლება ძილი დაგიფრთხოთ.

ზოგიერთი წამალი ძილს ჰგვრის ადამიანს, ბუნებრივია, მათი მიღება საღამოთი უფრო უპრიანია. ეს ეხება ანტიჰისტამინურ პრეპარატებს. ზოგიერთმა ნივთიერებამ მთელ ღამეს უნდა იმოქმედოს, ვთქვათ, ანტიასთმურმა წამლებმა, ამიტომ მათი მიღება 18-დან 20 საათამდე ჯობს.

კუჭის წყლულის შემთხვევაშიც მედიკამენტის მიღება ღამე ჯობს-18-დან - 22 საათამდე.

მაღალი სიცხის, ძლიერი ტკივილის დროს ავადმყოფს სურს, რაც შეიძლება ჩქარა იმოქმედოს წამალმა. ამიტომ უზმოზე დალიეთ, ჭამამდე ნახევარი საათით ან ჭამიდან 3 საათის შემდეგ. მაგრამ აუცილებლად შეამოწმეთ, წამლის შეკვრას ხომ არ აწერია, რომ მშიერ კუჭზე მიღება არ შეიძლება. საერთოდ ჭამის შემდეგ წამლის მიღება სასურველი არ არის. ამ წესის დარღვევა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება - გასტრიტის წამლის და საწუწნი აბების მიღების შემთხვევაში. ძილის წამალი სჯობს, ორ ჭამას შორის მიიღოთ, რადგან საკვებმა შეიძლება მოქმედება გააქარწყლოს.

აბის კანფეტივით ჩაყლაპვა, არ შეიძლება. უნივერსალური წესი გვასწავლის - წამალს ერთი ჭიქა წყალი მაინც უნდა დააყოლოთ. ის ხელს უწყობს პრეპარატის სწრაფ გახსნას. არც გაზიანი წყლისა და ხილის წვენის დალევაა სასურველი, ეს სიცხესაც ეხება. აბები კი სჯობს ფეხზე მდგომმა მიიღოთ, რათა უზრუნველყოთ მისი ნორმალური მოძრაობა.

„ჩასტნაია ჟიზნ" № 14

## ჩვენ მსჯავრი დაგვდეს პრეზიდენტის სამებლად



ამბობენ, არვიდას საბონისს ძილი უყვარსო...

- 23 საათი შემიძლია ვიძინო, ჯერჯერობით ეს არის ჩემი რეკორდი. ძალიან ვიღლები. ბევრია სტრესი, ჩვეულებრივ პირობებში 7 საათიც მყოფნის.

საბონისი NBA-ში მიიწვიეს, დათანხმდა... „რეალის" გუნდს ფინანსური პრობლემები გაუჩნდა, სტაბილურად ველარ უხდიდნენ ხელფასს და 2,5 მილიონიდან 3 მილიონ დოლარამდე შეფასებული საბონისი მალე NBA-ში ითამაშებს. კორესპონდენტის კითხვაზე რამდენ ათას დოლარს მიიღებენ ლიტვის ნაკრების მოთამაშენი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლისთვისო, საბონისმა უპასუხა:

- ოთხეულში მოხვედრისთვის მთელი გუნდი 120 ათას ლიტვურ ლიტს (დაახლოებით 30 ათასი დოლარი) მიიღებდა, თუმცა ჩვენ გეგმა გადავაჭარბეთ და ალბათ დაგვიმატებენ, მაგრამ ეს ათასები არ გვაინტერესებს, ჩვენ უფულოდაც ბოლომდე ვიბრძოლებდით. ვიბრძოლებდით ჩვენი ქვეყნისთვის, ის ტერიტორიით ძალიან პატარაა, მაგრამ ჩვენია. ეს ყველაფერია.

მე სპორტსმენი ვარ და პოლიტიკაში არ ვერჩხირები. დიდი ხანი ვთამაშობდი საბჭოთა კავშირის ნაკრებში რუსებთან ერთად, მაშინ ერთი გუნდი ვიყავით, დღეს ყველაფერი შეიცვალა, მატჩი ლიტვა-რუსეთი უკვე სპორტული კი არა, პოლიტიკური მატჩია. მოსკოვს დღეს ჩვენში, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილმოსურნედ უყურებენ.

- ამბობენ, თქვენს მშობლიურ კაუნასში მადლიერმა თანამოქალაქეებმა ბრწყინვალე ორსართულიანი სახლი აგიშენეს, დაგიდგეს სპეციალურად თქვენთვის დამზადებული ორმეტრიანი საწოლი და შესაბამისი სიგრძის აბაზანაც.

- რას არ იტყვიან - არც სახლი, არც აბაზანა, ან კი რომელი ფულით? უბრალო გულშემატკივრებს ვინ მისცა ამდენი თანხა? სახლის მშენებლობა კი მართლა დავიწყე. საწოლი ჩვეულებრივი მაქვს, ოღონდ თავი და ბოლო მომძვრალი აქვთ, მაინც ათად მოკეცილს მძინავს.

ამ საუბრის დროს საბონისმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ამერიკელი ჯორჯ თოლიკერი, იუგოსლავიისა და ლიტვის ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი, ყველაფერს გააკეთებდა, რომ არ დაეშვა ლიტველების გამარჯვება, რომ თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე საბონისს მოედნიდან გააძევებდა. იჯდებოდა არვიდასი სათადარიგოთა სკამზე და იტირებდა, იტირებდა უმწეობისა და შეურაცხყოფისაგან. არბიტრის უხამსობისგან უკიდურესობამდე მისული მისი პარტნიორი მარჩოლენისი გუნდს მოედნიდან გაიყვანდა, და მხოლოდ მეტოქეთა დიდი თხოვნის შემდეგ განაახლებდა თამაშს, საბოლოოდ გაიმარჯვებდნენ იუგოსლავიელები, მთელი სტადიონი კი „ლეტუვა, ლეტუვას" ძახილით ტაშს დაუკრავდა დამარცხებულებს, რომ სერბი ბორისლავ სტანკოვიჩი, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, თანამოძმეთა სკანდალური გამარჯვების მოთავე, დაჯილდოვების ცერემონიალზე გამოსვლას მოერიდებოდა...

საბონისმა არაფერი იცოდა... ყველა ამ ზემოთაღწერილის შედეგ დაღლილმა და გაბოროტებულმა ორმეტრიანმა გიგანტმა თქვა:

- მე არ ვთვლი, რომ წავაგეთ. ჩვენ მსჯავრი დაგვდეს სტანკოვიჩის სამებლად. ნეტა ვინ მოიგონა ეს საძაგელი პოლიტიკა?...

„სობესედნიკი" № 27

## ოთახი, სადაც ბრუნდება ღიმილი...



ბავშვთა პირველ საავადმყოფოში, მაგული გორდელაძის კვლევით ლაბორატორიაში, შეჭირვებულ ბავშვებს ელიან. ბავშვებს, რომელთა მშობლებმაც უკვე ყველა გზა მოიარეს და სასწაულის მოლოდინში, როგორც ბოლო იმედს, ამ კარს მოადგნენ.

ასე მოვიდა და მომლოდინეთა გრძელ რიგში ჩადგა სოხუმიდან დევნილი პედაგოგი და ჟურნალისტი დავით შონიაც, რომელსაც ძალიან სწრაფად აკლდებოდა თვალის სინათლე.

როგორც კი სოხუმი ახსენა, საუბარი აღარ გაუგრძელებია ქალბატონ მაგულის - „დაბრძანდითო", უთხრა და მუშაობა დაიწყო... სამი დღის შემდეგ დავით შონია ხელშეხვეული და ძალიან დამწუხრებული მოვიდა: საბარგო მანქანით რაღაც გადაჰქონდათ თურმე, მარჯვენა ხელით ძარას იყო ჩაჭიდებული, გზად ხის ტოტი მოტეხილა, ძარას დასცემია და ორი თითი ერთიანად დაუზიანებია. ერთი მიაკერეს, შუა თითის წვერი კი პრაქტიკულად უკვე აღარ იყო — ტოტს მოეგლიჯა, ამიტომ ექიმები იძულებულები გახდნენ, პირველ ფალანგასთან მოეკვეთათ.

თავიდან ქალბატონი მაგული მხოლოდ გულითად რჩევებს აძლევდა. მხოლოდ მაშინ, როცა დავითს იმედი გადაეწურა და მდგომარეობა ძალიან დამძიმდა, ქალბატონმა მაგულიმ ერთბაშად უთხრა - „აბა მიჩვენეთ..."

კარგად მახსოვს ეს თითი, სისხლიანი, უფორმო, ღია ჭრილობით და ჭრილობიდან ამოშვერილი შიშველი ძვლის წვერით.

რამდენიმე დღეში ჭრილობამ პირი შეიკრა, მოშუშდა, გაქრა წყლულები... მერე დღითი დღე მატულობდა საოცრებები. სიწითლე და შეშუპება გაქრა, თითმა ჩვეული ფერი მიიღო და კანით დაიფარა, მერე ფრჩხილიც გაჩნდა, წამოიზარდა და თითმა პირვანდელი ფორმის დაბრუნება დაიწყო...

თავად მაგული გორდელაძეც კი აღიარებს, რომ ასეთ შედეგს არ მოელოდა:

„მე ვიცოდი, როგორ უნდა მემუშავა და ვმუშაობდი. ვიცოდი, რომ თითს მოვაშუშებდი და ამპუტაციისგან გადავარჩენდი, მაგრამ ის, რომ მთელი ფალანგა გაიზრდებოდა, ფრჩხილს მოიბამდა და ჩვეულებრივი თითის სახეს მიიღებდა, არც მე შემეძლო წარმომედგინა... ახლაც არ ვიცი, რა მოხდა, რა პროცესები განვითარდა, რა კოდი გაიხსნა. მე ვიცი, რომ უჯრედებს მივეცი ბიძგი და ენერგია, მერე რა მოხდა, შესასწავლი და ასახსნელია".

ექიმი ლილი დანელია იოლად ჩამოგითვლით დაავადებათა ძალზე გრძელ ნუსხას, რომელთა განკურნებაც ავადმყოფობის ისტორიაში აისახა. სამწვერა ნერვის ანთება, სახის კუნთების უნებლიე მოძრაობა, ღამის ენურეზი, სულიერი დეპრესია, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, ვენების გაგანიერება, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, რადიკულიტი, დამწვრობა, გასტრიტი, მრავალგვარი ანთება, ინფექციური დაავადებანი, დიაბეტი, სახსრების ტკივილი, ჩიყვი, ოსტეოქონდროზი, დამბლა, მოტეხილობა, ღია ჭრილობები და ასე შემდეგ...

ეს ყველაფერი „ჩვეულებრივი" ამბებია - კოსმიური ენერგიის გამტარობის უნარი, მერიდიანთა სისტემა, ტიბეტური მედიცინა, ჩინური აკუპუნქტურა, დასნეულებული ორგანოს პოვნა, ორგანიზმის მთლიანობის აღდგენა, მოჭარბებული თუ გამქრალი ენერგიის დაბალანსება.

დავითის თითზე ექსპერიმენტისას კიდევ ერთხელ ინატრა მაგული გორდელაძემ, მეცნიერები მიხმარებოდნენ, დაკვირვებოდნენ მის მუშაობას, გაეგოთ, რა ხდებოდა თითში, რა პროცესები დაიძრა და ამოქმედდა...

დავით შონიას მარჯვენა ხელზე ძველებურად ხუთი თითი აქვს, ჩვიდმეტი წლის ლამაზი მაკა კი ლურჯ ცას ხედავს და ცისფერ ღრუბლებს...

იბეჭდება შემოკლებით
„კავკასიონი" № 125

## მოსკოვში ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად იბადებიან უხელფეხო ბავშვები



ბუნების ამ შემაშფოთებელი საიდუმლოს ამოსახსნელად მედიკოსებს ფული არ ჰყოფნით. ეს სურათი დაიბეჭდა ამერიკულ ჟურნალ „ნეშნლ ჯიოგრეფიქში", და თანაც ერთვოდა ვრცელი სტატია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. ფოტოზე ბავშვებს და ყველას ერთნაირი დეფექტი აქვთ - მარცხენა ხელის იდაყვქვედა ნაწილი აკლიათ, მსგავსი დრამა დასავლეთმა 60-იან წლებში გადაიტანა, იქაც გაჩნდნენ ხელ-ფეხ მოკვეთილი ბავშვები, მიზეზს სასწრაფოდ მიაგნეს - ფეხმძიმე ქალები ღებულობდნენ ერთ-ერთი ფარმაცევტული ფირმის მიერ გამოშვებულ დამამშვიდებელ აბებს, ეს ერთგვარი „ჩერნობილი" იყო, რომელმაც დაგვანახა, რამდენად საშიშია ცოცხალ ორგანიზმში ქიმიის შეჭრა.

კვლევა-ძიებისათვის საჭირო თანხები არ გამოინახა, ერთადერთი, რასაც დაბეჯითებით ამბობენ, ეს არის, რომ გენეტიკა არაფერ შუაშია, როდესაც განვიათრება, ჩამოყალიბებას იწყებს კიდურები, ანუ 3-დან 7 კვირამდე, ნაყოფის ნორმალურ განვითარებას ხელს უშლის რაღაც დაზიანება, კიდურების დეფექტი ერთედერთი სიმახინჯე არ არის, არის სხვა შემთხვევებიც, ფაქტი ერთია: დედის ორგანიზმში ის ბაქტერიაა, რაც იწვევს ჩანასახის არასრულყოფილებას, ეს შეიძლება იყოს რადიაცია ან ქიმიური აგენტი, რომელსაც შეიცავს ჰაერი, წყალი, საკვები, წამალი.

საოცარია, მაშინ, როდესაც ქვეყანას აღმოაჩნდა 500 მილიონი დოლარი „თეთრი სახლის" სარემონტოდ, 300 მილიონი დოლარი გოსდუმის შენობისათვის, როდესაც გამოინახა სახსრები ჩეჩნეთის ომისათვის და ბიუროკრატების მთელი არმიის შესანახად, აღარ მოიძებნა ფული გოგო-ბიჭებისთვის, რომლებიც ამ ისედაც მძიმე ცხოვრებას ცალი ხელით შეეჭიდებიან.

იბეჭდება შემოკლებით
„კომსომოლსკაია პრავდა" № 129

# ცნობილი კოლექციონერები რუსიკო ხანთაძის ნახატებს ირჩევენ

იმ ღამეს ესიზმრა, თითქოს თეთრ თაღებქვეშ შევიდა. გარშემო ყველაფერი ძალიან დიდებული და საზეიმო იყო... მაგრამ როდესაც გამოსვლა დააპირა, ნახა, რომ გამოსასვლელი არსად ჩანდა, საითაც მიანყდა, ყველგან თეთრი კედელი აღემართა ცხვირწინ. მიხვდა, რომ ჩაკეტილ სივრცეში მოხვდა და განწირულია. იგი ხელისგულებით კედელს მიეყრდნო, თავი ასწია, თვალები ზემოთ, ზემოთ მიაპყრო და ევედრებოდა — მადროვეთ, კირა და სანდრიკო პატარები არიან, კიდევ ბორისი მყავს, საყვარელი მეუღლე, მასაც ძალიან ვჭირდები. და საერთოდ, ჯერ ბევრი საქმე მაქვს ამ ქვეყანაზეო. ევედრებოდა და კვლავ კედელს მიჰყვებოდა, უცებ დაინახა, რომ თაღები გადაიხსნა და გამოუშვეს.

იმ დღიდან, ექვსი წლის წინ, რუსიკომ, რომელსაც მანამდე ხელიც კი არ დაუკარებია ფუნჯისა და საღებავებისთვის, იწყო ხატვა. ხატავდა სიზმარეული ტაძრის თეთრ თაღებს და ბავშვის თვალით დანახულ ცხოველებს, პალმებს, მაგრამ ყველაზე ხშირად და ყველაზე ბევრს — სახლებს, ერთმანეთზე მიჯრილს, დაბრეცილი სახურავებით, ჭრელ-ჭრელი, კაშკაშა ფანჯრებით, ზოგჯერ მდინარით შუაგულში, მის ნახატზე ერთი მილიმეტრიც კი არ რჩება უფეროდ და უფიგუროდ, ასეთს ხედავენ ქალაქს ზემოდან, მთიდან, ასე ხედავენ ალბათ ბავშვები.

„ძველი თბილისი", ეს სახელწოდება ბევრჯერ მეორდება, მაგრამ არცერთხელ არ მეორდება არცერთი სახლი, ეს რუსიკო ხანთაძის ულევი ფანტაზიაა.

თხუთმეტი ქართველი მხატვრის ვერნისაჟზე, როდესაც აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმი ექსპონატებს ირჩევდა და ტილოებს ავტორები შეგნებულად არ ეწერა, ექსპერტებმა სამი ფერტილო ამოირჩიეს და სამივე რუსუდანისა აღმოჩნდა. როდესაც თბილისში რამდენიმე წლის წინ სურათების გალერეას ცეცხლი ეკიდა და სურათები იწვოდა, მეხანძრეების წყლის ჭავლმა რამდენიმე სურათი დააზიანა, რუსიკო ხანთაძის ნამუშევრები გადარჩა, იქნებ განსაკუთრებული ხუთფენიანი ტექნიკის გამო?

ახლა მისი ნამუშევრები ამერიკის, იაპონიის, ისლანდიის, შვეციის, იტალიისა და ესპანეთის, გერმანიისა და იუგოსლავიის, არგენტინისა და მექსიკის, ჩინეთისა და კორეის კერძო კოლექციებში ინახება.

„მარტოობა" , „ჰარმონია" „სიჩუმე" „სიმშვიდე" — ასე ჰქვიათ მის ტილოებს — ეს შემოქმედების დროს მისი სულისა და ბუნების თანხვედრის მომენტებია ხოლმე.

რუსიკოს საოცრად ეცვლება გამომეტყველება, სულ სხვაა იგი, როდესაც საკუთარ სურათებზე და ოჯახზე ლაპარაკობს, თქვენს წინ სხვა სახეა, როდესაც დღევანდელ საქართველოზე ესაუბრებით.

„კომსომოლსკაია პრავდა" № 128



# დევიდ კოპერფილდი იფრენს პეტერბურგსა და მოსკოვში

მსოფლიოში ცნობილი ილუზიონისტი დევიდ კოპერფილდი ჩამოვა რუსეთში ოქტომბერში, — განაცხადეს ამ ტურნეს ორგანიზატორებმა. მისი ორი წარმოდგენა გაიმართება პეტერბურგის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში, 6 წარმოდგენას კი მოსკოვში გამართავს. სავარაუდოა, რომ შოუ კრემლის ყრილობათა დარბაზში გაიმართება. ამ წარმოდგენის ნახვის სურვილი გამოთქვა რუსეთის პრეზიდენტმა. ტურნეს მომწყობები ამბობენ, რომ რუსი მაყურებელი კოპერფილდის ყველაზე ცნობილ ტრიუკებს ნახავს, მათ შორის, სცენის თავზე თავისუფალ ფრენას და მანქანის ლიკვიდაციას.

„კომერსანტ დეილი" № 180

# ჯობს მადონას ძაღლი იყო, ვიდრე მისი საყვარელი!

თუ მამაკაცები „როკის პროვოკატორის" (როგორც მადონა თავის თავს უწოდებს) საწოლში გამუდმებით იცვლებიან, პატარა ძაღლი ჩიკიტა (ჩი-ხუა-ხუა ჯიშის) მუდამ მასთანაა. ჩიკიტა მადონას ერთადერთი შეუცვლელი საყვარელია. ძაღლს მან მზრუნველიც კი დაუქირავა, რომელიც სპეციალურად მისთვის ამზადებს. ჩიკიტა ძალიან წუნიაა, ყველაფერს ბატის ოდნავ შემწვარი ღვიძლი ურჩევნია. ამას წინათ მადონამ მისთვის 10 ათასი დოლარის ღირებულების ბრილიანტებით მოჭედილი ყელსაბამი შეუკვეთა. ძაღლის ბედი ჰქონიაო, მასზეა ნათქვამი.

„ჩასტნაია ჟიზნ" № 14

# გარდაცვლილი როკ-მომღერლის უსაფრთხოება წელიწადში 100 ათასი დოლარი ღირს

ჯგუფ „ნირვანა"-ს ლიდერმა, ამერიკელმა პოპ-მომღერალმა კურტ კობეინმა, შარშან თავი მოიკლა, მაგრამ სიკვდილის შემდეგაც ვერ ჰპოვა შვება. გაზეთ „თჰე თიმეს"-ის ცნობით, კობეინის ქვრივი კურნი ლავი ამაოდ ცდილობს მის დამარხვას სიეტლის ორ სასაფლაოზე. ადმინისტრაცია უარს ეუბნება იმ მოტივით, რომ მომღერლის საფლავი ათასობით ფანატიკოსს მოიზიდავს და შეიძლება უსაფრთხოების პრობლემა წარმოშვას.

„ნირვანა"-ს ლიდერმა კურტ კობეინმა მრავალმილიონიანი სიმდიდრე დატოვა, მაგრამ ქალბატონი ლავი ამტკიცებს, რომ მას არ ეყოფა ფული უსაფრთხოების დასაცავად იმ პირობების გათვალისწინებით, რომელსაც სასაფლაოს ადმინისტრაცია უყენებს ცხედრის დასაფლავების შემთხვევაში. სასაფლაოს ადმინისტრაციამ, რომელსაც თავიდან მიმართა მომღერლის ქვრივმა, განაცხადა, რომ არ შეუძლია პოპ-კულტურის კიდევ ერთი კერპის მიღება, რადგან მათთან უკვე ასაფლავია ბრუს ლი და მისი ვაჟი ბრენდონ ლი. ქალბატონმა ლავმა კალვარის კათოლიკურ სასაფლაოს მიმართა, იქ ადმინისტრაციამ მოსთხოვა დაედგა 4 ფუტის სიმაღლის ანგელოსის ძეგლი, რომელსაც კობეინის სახის ნაკვთები ექნებოდა. მომღერლის ქვრივს პროექტი არ მოეწონა, სასაფლაოს იურისტი დაემუქრა მას, რომ საერთოდ უარს ეტყვიან ადგილზე, თუ ქვრივი წელიწადში 100 ათას დოლარს არ გადაიხდის უსაფრთხოების დასაცავად. სიეტლის ეკლესიის წარმომადგენელმა განაცხადა, სასაფლაო როკ-კონცერტის გასამართი ადგილი არ არისო.

„კომერსანტ დეილი" № 126

# არხანგელსკში იყიდება ქალები

ჩრდილოეთში ქუჩის თეატრის მეექვსე ფესტივალი მიმდინარეობს — ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსახიობებს, რასაც მოისურვებენ, შეუძლიათ ქუჩაშივე განახორციელონ.

არხანგელსკის ცენტრალურ ბაზარში, ბრგე ვაჟკაცი თავის ორ ქალიშვილს 16 მილიარდად ყიდის. უაზროდ მომზირალი გოგონები ყუთში სხედან, მამა ორივეს წყვილად ყიდის. ზოგს კი ცალობით უნდა — რას იზამ, ბაზარს თავისი კანონები აქვს.

შუა ტროტუარზე გამჭირვალე ჯიხურში აბაზანა-საშხაპეა მოწყობილი. იქვეა საპონი, პირსახოცი — მიბრძანდი და იბანავე!

მსახიობები არხანგელსკის თეატრის პანოვის სტუდიელები არიან. იდეა და რეჟისურა ფრანგულ თეატრს „ტერბე-ვაკაუტ"-ს ეკუთვნის. ფესტივალზე შიშველი ქალები ქუჩებში დარბიან და ადგილობრივი მამაკაცები „შეშლილები" შესცქერიან უჩვეულო სანახაობას...

ამ ფესტივალზე აფრიკას კლოუნესა ლორა ხეცი წარმოადგენს. მისი დადგმის უშუალო მონაწილეები ქუჩებში მოსიარულე ხალხია — ლორამ ნამში ჩამოაშორა ვაჟი თანმხლებ ქალს და... განზე გაიყვანა. იქვე „იპოვნა" მეუღლე, დედა (!), მეგობრები. შემდეგ ერთ გამვლელს მიახტა შეძახილით „მამა, მამა!" და კისერზე ჩამოეკიდა... რაც მერე მოხდა, მოსაყოლი არ არის — მკითხველის ფანტაზიისათვის მიგვინდია სურათის დასრულება...

„კომსომოლსაია პრავდა" № 125



# მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე ბიბლიოთეკა

ფრანსუა მიტერანმა პარიზში საზეიმოდ გახსნა საფრანგეთის ახალი ნაციონალური ბიბლიოთეკა. იგი მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე წიგნსაცავია. ეს გრანდიოზული კომპლექსი ააგო 42 [illegible] არქიტექტორმა დომინიკ პერომ, [illegible]ხით, ბეტონითა და მინით შექმნილი გადაშლილი წიგნის ფორმის ცამდე აწვდილი სასახლე 7,8 მლრდ ფრანკი დაჯდა. ბიბლიოთეკაში 430 კმ სიგრძის თაროებია განლაგებული, რომლებზეც 11 მლნ. წიგნი დევს. 4 მლნ მკითხველს 2700 თანამშრომელი მოემსახურება. სამკითხველო დარბაზები მეცნიერთათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი. მიტერანის ხელმძღვანელობით, ლუვრის მხრიდან აღიმართა ლითონისა და მინის პირამიდა. ტრიუმფალური თაღის მოედანზე — ოპერის შენობა აღიმართა. პარიზის ჩრდილო აღმოსავლეთით, ლავილეტში, მიტერანმა მუსიკალური ქალაქი დააარსა. ექსპრეზიდენტს ფრანგები გიგანტომანიას სწამებენ. ეკოლოგებს აწუხებთ ვეებერთელა ტყის მასივების აკაფვა,.. უცხოეთიდან შემოზიდული ძვირფასი ჯიშის ხეები დარბაზების მოსაპირკეთებლად გამოიყენეს. მიტერანის მიზანია ფრანგული ენისა და ლიტერატურის განვითარება, დაცვა, ამერიკანიზმის განმენდა, ქვეყნის პატრონთა საფიქრებელია ახალგაზრდობის მეტყველების კულტურის დაბალი დონე, სკოლებში ორთოგრაფიული საკითხების სავალალო მდგომარეობა.

ბიბლიოთეკის მახლობელი ბულვარი 1970 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, ფრანსუა მორიაკის სახელობისაა. მორიაკს მიტერანი „რომანის გმირად" მიაჩნია.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი" № 46

# პიერ კარდენი გვირჩევს

საჭირო არ არის ყველას მოემსახურო, საჭიროა კარგად იმსახურო, — ურჩია პრესკონფერენციაზე მოსულ მოსკოველებს საკუთარ ელეგანტურ სამოსში გამოწყობილმა პიერ კარდენმა, — ჭკუის გარდა ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანია შეხვედრები და ნაცნობობა.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი" № 46

# საოცარი კონტრასტები...

48 წლის სილვესტერ სტალონემ პირველი „როკისთვის" 30 მლნ ფრანკი მიიღო, უკანასკნელ კონტრაქტს ამას წინათ მოაწერა ხელი; იგი მსახიობს 108 მლნ-ს პირდება.

47 წლის ავსტრიელმა კულტურისტმა არნოლდ შვარცენეგერმა „ტერმინატორ-2"-ში 40 მლნ ფრანკი და 75 მლნ ღირებულების რეაქტიული თვითმფრინავი „გოლფსტრიმი" მიიღო.

50 წლის მაიქლ დუგლასს „მთავარმა ინსტიქტმა" 70 მლნ ფრანკი არგუნა.

52 წლის ჰარისონ ფორდს „ვარსკვლავთ ომებმა" და კიდევ შვიდმა ფილმმა 10 მლრდ ფრანკი მოუტანა. მისი ვაიომინგის რანჩოც 30 მლნ ფრანკი ღირს.

27 წლის ჯულია რობერთსს „მერი რეილიმ" 50 მლნ ფრანკი მისცა, ხოლო „ლამაზმა ქალმა" — 75 მლნ.

36 წლის შერონ სთოუნმა „მთავარ ინსტიქტში" პარტნიორზე 50-ჯერ ნაკლები ჰონორარი მიიღო, მაგრამ „შეპკიმ" — 14 მლნ, „სპეციალისტმა" კი — 25 ,ლნ ფრანკი აშოვნინა.

14 წლის მაკოლეი ქალქინმა ფილმში „მარტო შინ", ნახევარი მილიონი მიიღო, 25 მლნ ფრანკი სურათში „მარტო ნიუ-იორკში", ხოლო მესამე ფილმი 80 მლნს ჰპირდება.

„ზა რუბეჟომ" № 28



# დენი დე ვიტო — შეუპოვარი „კოლობოკი" ჰოლივუდიდან

ეჭვიც არ არის, რომ თავისი აქტიორული კარიერის დასაწყისიდანვე დე ვიტოს გადაწყვეტილი ჰქონდა, გამხდარიყო პოპულარული, მიეღწია აღიარებისთვის, ამ სურვილის გარეშე პატარა, მელოტი იტალიელი ვერ გახდებოდა ის, ვინც საბოლოო ჯამში გახდა — ჰოლივუდის ერთ-ერთი წამყვანი კომიკოსი, ნიჭიერი რეჟისორი, იღბლიანი პროდიუსერი. როგორც ყველა დამწყები, ჰოლივუდში ბედის საძიებლად ჩამოსული დენი ბროდვეის წარმოდგენებში და საესტრადო შოუში მონაწილეობდა, ზოგჯერ მასიურ სცენასაც გამოჰკრავდა ხოლმე ხელს. მის ჯიბეს არაფერი ეტყობოდა — ქესეტად იყო. 1973 წ. ვესტერნის „რაზმის" გადაღების დროს, დე ვიტო ეცნობა ქერქ დუგლასს, ორი წლის შემდეგ კი მას მილოშ ფორმანი იღებს თავის შედევრში — „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", ფილმის პროდიუსერი ქერქ დუგლასის ვაჟი — მაიქლი გახლდათ. დე ვიტომ ერთ-ერთი სულით დაავადებული განასახიერა და თუმც, როლი მეორეხარისხოვანი იყო (თუ შეიძლება ამ რანგის ფილმში იყოს მეორეხარისხოვანი როლი), დენის ეყო ტალანტი და ორიგინალურობა, არ მიკარგულიყო გასაოგნებელი ჯეკ ნიქოლსონის ფონზე.

ამის შემდეგ იყო მრავალი ფილმი, მრავალი სახე, მრავალი ღიმილი, დიდი აღიარება და მაყურებლის წინაშეა დენი დე ვიტო, რომელიც, როგორც იტყვიან, ემზადება ნახტომისთვის, რათა საკუთარ თავს გადაახტეს.

„ვიდეო-ასი" № 29

# ლეგენდა: მსახიობი

რონალდ რეიგანმა კინემატოგრაფიას 30 წელი დაუთმო — 1937 წლიდან 1964 წლამდე 50 -მდე როლი განასახიერა და მაყურებელთა დიდი სიყვარულითა და სიმპათიით სარგებლობდა, განსაკუთრებით 40-იან წლებში.

თავისი ორივე მეუღლეც კინომ აპოვნინა, ჰოლივუდის გადასაღებ მოედანზე შეხვდა ლამაზ, მომხიბლავ პარტნიორებს, ჯერ ერთზე იქორწინა, შემდეგ მეორეზე და ამერიკის ისტორიაში ერთადერთი ცოლგაშვებული პრეზიდენტიც გახდა.

ჰოლივუდში რეიგანი 26 წლისა მოვიდა... 27 წლისა უკვე შეხვდა თავის პირველ ცოლს — ჯეინ უაიმენს, ერთად რვა წელი დაჰყვეს, შეეძინათ გოგონა, რონალდმა ჯეინის ვაჟი იშვილა, 1948 წელს ცოლ-ქმარი დაშორდნენ, — ჯეინი ვერ ეგუებოდა ქმრის პოლიტიკით გატაცებას.

1952 წელი, ახალი ფილმი — „ყოჩაღი ეკიპაჟი", ახალი ნაცნობობა, მედდის როლს ანსახიერებს ნენსი დევისი და იგი ხდება რეიგანის მეორე მეუღლე და შემდეგ ამერიკის პირველი ლედი. ნენსიმ ქალიშვილი პეტი და ვაჟი რონი აჩუქა მეუღლეს.

მაყურებელს უყვარდა რონალდის ეკრანული გმირები, მას იცნობდნენ როგორც „თავისიან, კარგ ბიჭს", რომელსაც ენდობი და როდესაც 1966 წ. იგი კალიფორნიის შტატის გუბერნატორად აირჩიეს, საზოგადოება მზად იყო ამისათვის, დამთავრდა ჰოლივუდის კარიერა და იწყებოდა მზადება რეიგანის მთავარი პოლიტიკური როლისთვის — აშშ-ის პრეზიდენტობისთვის.



„ვიდეო-ასი" № 29

# ᲬᲕᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ





### 1. ᲙᲝᲜᲣᲡᲘᲡᲔᲑᲠᲘ

მისი მატარებელი - დიდი ესთეტი, გურმანი და მუსუსია. შემჩნეულია, რომ დონ-ჟუანი სწორედ ასეთ წვერს ატარებდა. ბიზნესში, საქმეში არასაიმედოა, ცვალებადია.

### 2. ᲝᲕᲐᲚᲣᲠᲘ

თავის თავში დარწმუნებული მამაკაცია, ყოველთვის იცის, რაც სურს, თავის წინაშე ყოველთვის დიდ ამოცანებს ისახავს, ქალებს ქედმაღლურად ელაპარაკება.

### 3. ᲠᲣᲡᲣᲚᲘ (ᲜᲘᲩᲑᲘᲡᲔᲑᲠᲘ)

უეშმაკო, პირდაპირი მამაკაცია, რომლის შესახებაც ითქმის: „თვალში რომ ჩაუვარდე, ხელს არ ამოისვამსო". თავისი კანონიერი მეუღლე ყველა ქალს ურჩევნია.





### 4. ᲢᲠᲐᲞᲔᲪᲘᲘᲡᲔᲑᲠᲘ

დიქტატორი, ტირანი, მიუხედავად ამისა, ქალებთან დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც წესი, საოცარი ერთგული და ოჯახის დესპოტია.

### 5. ᲝᲠᲛᲐᲒᲘ

ეშმაკი მამაკაცია, მოწესრიგებულობისა და სოლიდურობის ნიღაბქვეშ მალავს ორპირობას. სუსტი სქესისადმი გულგრილობა არ ახასიათებს.

### 6. ᲬᲐᲑᲝ

უცნაური, არაამქვეყნიური პიროვნებაა - რომანტიკოსი, ვარსკვლავიანი ღამეების და კოცონთან სიმღერების მოყვარული, ღრუბლებში დაფრენს და ცხოვრების მანძილზე ხშირად სხვადასხვა რამით არის გატაცებული.

„ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲐ"

## ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲔᲛᲓᲔ

ჩინეთში ასე სჯერათ, ვინც გაუთხოვრი ან უცოლო გარდაიცვლება, იმქვეყნად ასე ეული დარჩება... ერთი მდიდარი ვაჭრის 19 წლის ქალიშვილი მოკლეს, გოგონამ ვერ მოასწრო გულის სწორის არჩევა... ცრუმორწმუნე მამამ შვილის დაკრძალვამდე გადაწყვიტა... მისი გათხოვება, რადგან „საპატარძლო" ძალიან მდიდარი მამის შვილი იყო, ხელისმთხოვნელებმაც არ დააყოვნეს.

ქორწინება მთელი წესები ჩატარდა, ახალგაზრდა საქმრო წრფელი იყო, როდესაც ტრადიციულ კითხვაზე, თანახმაა თუ არა კუბოს კარამდე უერთგულოს ცოლს, დაუყვნებლივ დადებითად უპასუხა.

„ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲜᲐᲘᲐ ᲮᲠᲝᲜᲘᲙᲐ" № 7




ფირმა გთავაზობთ საფრანგეთის ვიზების გაფორმებას.
ჩვენთან, აგრეთვე, შეიძენთ იაფ საგზურებს ქობულეთში
მოგვმართეთ: ალმაშენებლის პროსპ. № 179. გერმანიის საელჩოს პირდაპირ.
ტელ.: 34-39-04 29-06-15 29-40-27

REA

## ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ფირმა „რეა" გერმანიაში აწყობს სპეციალურ ავტოტურს, მანქანების ჩამოყვანით, სადაც იაფ ფასებში შეიძენთ თქვენთვის სასურველ ავტომობილს. მიმდინარეობს წინასწარი ჩაწერა. გასვლა 5 აგვისტოს.



ჯგუფი განისაზღვრება 8 კაცით.

ფირმა შეღავათიან ფასებში დაგიმზადებთ და შეგიღებავთ რკინის კარებს, გისოსებს და თქვენთვის სასურველ სხვა ნაკეთობებს.

მისამართი: ა. ყაზბეგის ქუჩა № 44 დიზაინის ინსტიტუტი
ტელ.: 39-36-51 39-84-71



ყველა სახის ნაბეჭდი პროდუქცია – ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲗ

ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲘ. ᲑᲚᲐᲜᲙᲘ. ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. ᲬᲘᲒᲜᲘ და სხვა.

ოპერატულად, ხარისხიანად და თქვენთვის მისაღებ ფასებში.
ტელ.: 30-20-36
ვაჟა-ფშაველას პრ. №104. VI კვარტალი
ან ტელ.:36-78-07
აკურის ქ. №8. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი (სპორტის სასახლის უკან). შ.პ.ს. „კოლორი"




# ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲘ



ლაბირინთში შესვლა ადვილია - ღია კარი თქვენს წინაა, გამოსვლისათვის კი დაგჭირდებათ ზუსტი თანმიმდევრობით უპასუხოთ დასმულ კითხვებს, შეარჩიოთ პასუხები, რომლებიც საშუალებას მოგცემთ, ისარგებლოთ წინასწარ მოცემული ასოების (თითოეული სიტყვისათვის - რამდენიმე) „სამსახურით" მათთვის ადგილის შეუცვლელად; მოძრაობა თავისუფალია, წალმა-უკუღმა ყველა მიმართულებით, გარდა დიაგონალისა. ლაბირინთში არც დაბნეულობაა გამორიცხული - შეიძლება ერთსა და იმავე ადგილზე რამდენჯერმე მოხვიდეთ, შემდეგ კი გზა გაიგნოთ. აქაც ასეა - შესაძლოა ერთსა და იმავე ასოს რამდენჯერმე მიაკითხოთ.

პასუხები ერთმანეთს მიმდევრობით ებმის ერთი მთლიანი, დახლართული ჯაჭვის სახით. ჩაინვორდის მსგავსად, ოღონდ მისგან განსხვავებით, თითოეულ სიტყვას, მომდევნოსთან საერთო აქვს არა ერთი, არამედ ორი ასო. ჯაჭვის თავი და ბოლო მოცემულ ლაბირინთებში ერთმანეთს არ უკავშირდება.

ამოცანის ამოხსნა მოთმინების გამოცდაც იქნება - ნათქვამია: „მოთმინებითა შენითაო..."

## ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲗᲐ ᲗᲐᲜᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲝᲑᲐ

1. რეჟისორი - „საშინელებათა ფილმების" დიდოსტატი; 2. ქრისტიანული დღესასწაული; 3. თეატრისა და კინოს ქართველი კრიტიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე; 4. ოჯახური დღესასწაული; 5. ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშავ-მწვრთნელი და მეთვალყურე ფეოდალურ საქართველოში; 6. მჭერმეტყველების თეორია; 7. იტალიელი მსახიობის, მიქელე პლაჩიდოს ეკრანული სახე; 8. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში; 9. მერაბ კოსტავას ლექსი; 10. რატომ, რა მიზეზით? 11. აკაკი ვასაძის სცენური სახე; 12. ავტორი გამოთქმისა „საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერია"; 13.ქართველი პოეტი; 14. მცენარე ძალიან მაგარი მერქნით; 15 სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული ქვეყანა; 16. ყოფილი სოციალისტური სახელმწიფო; 17. დარდი, მწუხარება; 18. სახის კუნთების მოძრაობა; 19. გამოჩენილი მოჭადრაკე; 20.მდინარე პოლონეთში; 21. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 22. დროის მონაკვეთი კრივში; 23. მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაცია; 24. სტალინის ვაჟიშვილი; 25. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 26. აზიის ქვეყნებიდან გავრცელებული უძველესი სახე ქსოვისა (მარყუჟებით ქსოვა); 27. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი მექასთან ერთად; 28. ცეცხლგამჩენ ბომბებში გამოყენებული საწვავი მასალა; 29. პერსონაჟი ვაჟა-ფშაველას პოემისა „გველის მჭამელი"; 30. ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე

## ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ (№ 14) ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

**ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:** 3. შიშკინი; 6. ქაშმირი; 10. ქაფური; 11. მდედრი; 12. მგელი; 13. ავტორი; 14. ვარდნილი; 15. კერკი; 17. კომპანია; 19. ანაკონდა; 22. დემაგოგი; 25. ალავერდი; 26. შრატი; 31. ულმანისი; 32. გუდავა; 34. დუნია; 35. შანხაი; 36. ასკერი; 37. ამბიცია; 38. ეგვიპტე.

**ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. ფიგურა; 2. არტერია; 4. კრინტი; 5. ინდუიზმი; 6. ქარავანი; 7. მამიდა; 8. ქამელეონი; 9. ზიზია; 16. კოკა; 17. კოდალა; 18. ამპერი; 20. აგერ; 21. აგიტატორი; 23. ბარიკადა; 24. ბრეგვაძე; 27. ბურდა; 28. ომონიმი; 29. ანფასი; 30. ჰამაკი; 33. ანკეტა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲐᲜᲝᲜᲡᲘ (ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ №16)

დღევანდელ მსოფლიოს სენსაციები არ აკლია და აი კიდევ ერთიც, ისტორიკოსები გვთავაზობენ ახალ ჰიპოთეზას - დაღუპულია არა „ტიტანიკი", არამედ გემი „ოლიმპია" „ტიტანიკის" სახელწოდებით.



ეს რუსეთის ახალი პარტიის პრეზიდენტია! რომელი პარტია იქნება?


დაიჯესტის რედაქცია პასუხს არ აგებს სხვა გაზეთებიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე. პუბლიკაციათა სტილი დაცულია. რიგ შემთხვევაში მასალა შემოკლებით დაიბეჭდება.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

მისამართი: აკურის ქ. №8. ტელ: 36-71-30

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ № 1518

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

*გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კორპორაცია „მაღულას" კომპიუტერულ ცენტრში.*